P-ISSN 1987-7668 / E-ISSN 2720-782X
https://doi.org/10.60131/jlaw.1.2025.9286
ლიცენზია: CC BY-SA

ლევან ძნელაძე*

ორგანიზებული დანაშაული, როგორც თანამედროვე პერიოდის ტრანსნაციონალური საფრთხე

ნაშრომი ეხება თანამედროვე პერიოდის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას, როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე – ორგანიზებულ და ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულს და მათგან მომდინარე საფრთხეებს. აღნიშნული კატეგორიის დანაშაულობებთან ეფექტური ბრძოლა ნებისმიერი დემოკრატიული სახელმწიფოს უმთავრეს კანონისმიერ ვალდებულებას და ამ ეტაპზე, გადაუჭრელ პრობლემას წარმოადგენს, რაც უდავოდ განაპირობებს კვლევის აქტუალობას.

სტატია დაფუძნებულია დოქტრინის, კანონმდებლობის და სასამართლო პრაქტიკის ანალიზზე. მასში მიმოხილულია ორგანიზებული და ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის ძირითადი დებულებები და არსებული გამოწვევები.

კვლევის მიზანია ორგანიზებულ დანაშაულთან და ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის გასაუმჯობესებლად ეფექტურ ღონისძიებათა განსაზღვრა და რელევანტური პრობლემების იდენტიფიცირება.

საკვანძო სიტყვები: *ორგანიზებული დანაშაული, ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაული, ტრანსნაციონალური საფრთხე, თანამონაწილეობა დანაშაულში.*

1. შესავალი

„ორგანიზებული დანაშაული კომპლექსური კრიმინალური ფენომენია, რომელიც განსაკუთრებულ ემპირიულ და ანალიტიკურ კვლევას მოითხოვს. ამ პრობლემის იურიდიულ ჩარჩოებში მოქცევა კავშირშია მრავალ თეორიულ, სოციალურ და პრაქტიკულ პრობლემასთან, მით უმეტეს, რომ ორგანიზებულმა დანაშაულმა დიდი ხანია ტრანსნაციონალური ხასიათი შეიძინა და თავისი მასშტაბებით და დამანგრეველი ზემოქმედებით კაცობრიობისათვის რეალურ საფრთხედ იქცა.“[1] მიუხედავად იმისა, რომ უახლოესი, განვლილი ათწლეულების განმავლობაში, არაერთი საერთაშორისო თუ შიდასახელმწიფოებრივი ინსტრუმენტის[2] გამოყენებით, მიმდინარეობს ორგანიზებული, მათ შორის ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, ის სულ უფრო მასშტაბურ და გლობალურ ხასიათს იძენს. „საერთაშორისო სავალუტო ფონდის“ ინფორმაციით, ნარკოტიკებით ვაჭრობიდან და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციიდან მიღებული შემოსავალი, მსოფლიო ეკონომიკის ექვსიდან რვა პროცენტს უტოლდება.[3] ამდენად, ამ ფენომენის წინააღმდეგ ბრძოლა მუდმივად განახლებულ გააზრებას საჭიროებს.

---

* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლის მიმართულების დოქტორანტი, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსი.

1 *მუმლაძე დ., ძნელაძე ლ.,* ბრძოლა ორგანიზებული დანაშაულობის (მაფიის) წინააღმდეგ: შედარებითსამართლებრივი ანალიზი, ჟურნ. „მართლმსაჯულება“, №2, 2008, 35.

2 *თუმანიშვილი გ. (სამეც. რედ.), ჯიშკარიანი ბ. (სამეც. რედ.), შრამი ე. (სამეც. რედ.),* ევროპული და საერთაშორისო სამართლის ზეგავლენა ქართულ სისხლის საპროცესო სამართალზე, თბ., 2019, 800-801.

3 *Shelley L.,* Transnational Organized Crime and Seized Assets: Moral Dilemmas Concerning the Disposition of the Fruits of Crime, 7 Maastricht J. Eur. & Comp., 2000, 35.

ნაციონალური სახელმწიფოების შექმნამ, კაპიტალიზმის განვითარებამ, ინდუსტრიალიზაციამ და ბოლოს, მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე მიღწევებმა, უზარმაზარ სიკეთესთან ერთად, ასპარეზი გაუხსნა ახალი თაობის ორგანიზებულ დანაშაულთა აღმოცენებას. იგი, როგორც სოციალური ფენომენი, ხასიათდება კომპლექსური, კრიმინალური ბუნებით, აქვს ფართო შეხების წერტილები კორუფციასა და სამეურნეო სფეროში ჩადენილ ეკონომიკურ დანაშაულებთან. მაქსიმალური მოგების მიღების მიზნით შეპყრობილი ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი ჩაგრავს და ექსპლუატაციას უწევს არა მარტო ცალკე აღებულ რიგით მოქალაქეს, ლახავს მის კანონიერ ინტერესებს, არამედ სერიოზულ კონკურენციას უწევს თვით სახელმწიფო ხელისუფლებას, გლობალური გაგებით და უპირველესად სამართალდამცავ ორგანოებს, ცალკეულ შემთხვევებში.

ამ გამოწვევის დასაძლევად მოქმედი არაერთი საერთაშორისო თუ ადგილობრივი რეგულაციის მიღმა, დანაშაული, ხშირ შემთხვევაში, ინიღბება იმგვარად, რომ არსებული საკანონმდებლო ინსტრუმენტები და სამართალდამცავ ორგანოთა საქმიანობა უმეტესად ვერ იძლევა ხელშესახებ პრაქტიკულ შედეგს, რაც ართულებს ასეთ დანაშაულთა ჩადენის შედეგად დაგროვებული კრიმინალური აქტივის მოძიებას და ჩამორთმევას.

უსაფუძვლო იქნება იმის მტკიცება, რომ ამ რთული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემის მოგვარება მხოლოდ სამართლებრივი ზომებითა და სისხლისსამართლებრივი სასჯელებით არის შესაძლებელი. ამ ნაშრომის მიზანია, შეძლებისდაგვარად, შედარებით-სამართლებრივი მეთოდის გამოყენებით, გაანალიზდეს შესაბამისი მასალა, რომელიც ეხება, მსოფლიო მასშტაბით, ამ პრობლემის წინააღმდეგ ბრძოლის პრაქტიკასა და თეორიას.

გლობალიზაცია სასათბურე პირობებს უქმნის ორგანიზებულ დანაშაულობათა დაჩქარებულ ტრანსნაციონალიზაციას.

წინამდებარე კვლევა ასევე მიზნად ისახავს ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი საფრთხის გააზრებასა და ორგანიზებულ დანაშაულთან, მათ შორის ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულთან მიმართებით არსებული საერთო სასამართლოების უახლესი პრაქტიკის განხილვას.

2. ორგანიზებული დანაშაულის ზოგადი დებულებანი

ორგანიზებული დანაშაული, დღევანდელი გაგებით, ისტორიულად წარმოიქმნება იქ და მაშინ, როდესაც სახელმწიფო ხდება სუვერენული. დანაშაულებრივი ძალები ქმნიან კრიმინალურ სისტემას, სტრუქტურებს, რომლებიც სიმსივნური წარმონაქმნივით, მის ორგანიზმში მეტასტაზებივით ვრცელდება და იკვებება სახელმწიფოსა და საზოგადოების ხარჯზე, ქმნის პარალელურ სტრუქტურებს, მოსყიდვისა და დაშინების მიზნით ასუსტებს და გარკვეულ ეტაპზე უკვე მას უწევს კონკურენციას.

მე-19 საუკუნიდან მოყოლებული ორგანიზებული დანაშაული სულ უფრო ძლიერდებოდა და საშიშ ფორმებს იღებდა.

„ორგანიზებული დანაშაული, რომელსაც (სულ ცოტა) ორი საუკუნის ისტორია გააჩნია, რამდენიმე ათწლეულია მეცნიერების კვლევის ობიექტს წარმოადგენს.“[4]

„ორგანიზებული დანაშაული არის ეკონომიკურად ორიენტირებულ დანაშაულთა მთლიანობის შემცველი ჯგუფური დანაშაულობის ყველაზე საშიში ნაირსახეობა, რომელსაც სჩა-

[4] *შალიკაშვილი მ.,* კრიმინოლოგია, თბ., 2011, 84.

დიან საიმედოდ კონსპირირებული ზედაფენის მქონე, მყარი, ხანგრძლივი დანაშაულებრივი საქმიანობისათვის ჩამოყალიბებული ორგანიზებული ჯგუფები, რომლებიც ფართოდ იყენებენ ძალადობას, მოსახლეობის დაშინებას, მოსყიდვას, რათა მიიღონ ზემოგება მაღალშემოსავლიანი არალეგალური ბიზნესიდან. აგრეთვე ლეგალური, მაგრამ არალეგალური საშუალებით განხორციელებადი ბიზნესის სფეროდანაც მისი მომდევნო ლეგალიზაციითა და ლეგალური ბიზნესისა და პოლიტიკის სფეროში შეღწევით".[5]

„ორგანიზებული დანაშაულობა დანაშაულობის ერთ-ერთი რთული და საშიში სახეა, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, ხელყოფს საზოგადოების ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სამართლებრივ და ზნეობრივ სფეროებს."[6]

ორგანიზებული დანაშაული დღევანდელი მსოფლიოს ერთ-ერთი რთული და მტკივნეული პრობლემაა. იგი საზოგადოებისათვის თავისი დამანგრეველი ზემოქმედების ეფექტით „გლობალური საფრთხის დელიქტებს უნდა მივაკუთვნოთ."[7]

ორგანიზებული დანაშაულის ისტორია ალბათ სახელმწიფოს განვითარების ისტორიასთან კავშირში უნდა იქნეს განხილული, რამეთუ „საზოგადოებასთან დაპირისპირების პროცესში კრიმინალურმა ფენომენმა ევოლუცია განიცადა და მან შეძლო მოეძებნა ყოფიერების ისეთი ფორმა, რომელიც მისთვის უვნებელია სახელმწიფოსა და საზოგადოების ანტიკრიმინალური ზემოქმედების მიმართ."[8]

როგორც უკვე აღინიშნა, „ორგანიზებული დანაშაული ერთი ან რამდენიმე ქვეყნის პრობლემა კი არაა მხოლოდ, არამედ მას ტრანსნაციონალური ხასიათი აქვს".[9] ტიპურ მაგალითს, ამ მხრივ, „პოლიტიკური თავშესაფრის" მაძიებელი უცხოელების არალეგალურად გადაადგილება წარმოადგენს, რომლის მთავარ მამოძრავებელ ძალას სწორედ კრიმინალური ორგანიზებული ჯგუფები შეადგენენ. ამერიკის შეერთებული შტატების სენატი, გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან მოყოლებული, რეგულარულად ქმნიდა სათანადო კომისიებს, რომელთაც უნდა გაეანალიზებინათ ამ დანაშაულის ირგვლივ არსებული მოვლენები და დაესახა გზები მის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ კომისიათა დასკვნებს, კომისიის ხელმძღვანელთა სახელის მიხედვით, ერქვა „რიკო" Kefauer (1950-1951); Katzenbach (1966-1967); Byrne (1975-1976); Kaufman (1983-1986).

სწორედ Kefauer – ის კომისიის დასკვნაში გაჩნდა პირველად სახელწოდება „ორგანიზებული დანაშაული", რომელიც გასცდა ჩვეულებრივი განგსტერული დანაშაულის ფარგლებს. ეს ტერმინი შესაძლებლობისდაგვარად გამოხატავდა ამ ფრიად საშიში ფენომენის კრიმინალური მოვლენის არსს და დღემდე, სისხლისსამართლებრივად, ამაზე უფრო მისასადაგებელი შესატყვისის გამონახვა ვერ მოხერხდა.

ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ევროპის კავშირის 2021-2025 წწ. სტრატეგიაში მითითებულია, – „ორგანიზებული დანაშაული, რომელიც, თავისი აქტივობების ჩრდილოვანი ბუნებიდან გამომდინარე, საზოგადოებისათვის შეუმჩნეველია, მნიშვნელოვან საფ-

---

5 *გოძიაშვილი ი.,* კრიმინოლოგია, თბ., 1998, 179.

6 *წულაია ზ.,* კრიმინოლოგია (ზოგადი ნაწილი), თბ., 2003, 224.

7 *უგრეხელიძე მ.,* ბრალი საფრთხის დელიქტებში, თბ., 1982, 60.

8 *ავანესოვი გ.ა.* (რედ.), კრიმინოლოგია, თბ., 2007, 570.

9 *ნაჭყებია გ. (რედ.),* ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, თბ., 2012, 22.

რთხეს უქმნის ევროპის მოქალაქეებს, ბიზნესს, სახელმწიფო ინსტიტუციებს, ასევე მთლიანობაში ევროპის ეკონომიკას".[10]

ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სტრატეგიის მიხედვით, – „ორგანიზებული დანაშაული, ტრანსნაციონალური ბუნებიდან გამომდინარე, ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის. ორგანიზებული დანაშაული ხელყოფს საზოგადოების ფუნდამენტურ ღირებულებებს, აფერხებს ეკონომიკურ, საზოგადოებრივ, სოციალურ, კულტურულ და პოლიტიკურ განვითარებას, ეწინააღმდეგება კანონის უზენაესობის პრინციპებს და საფრთხეს უქმნის ეროვნულ და საერთაშორისო უსაფრთხოებას".[11]

ეროვნული სტრატეგია ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას, მისი ტრანსნაციონალური ბუნებიდან გამომდინარე, ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად განიხილავს. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, სამოქალაქო და სეპარატული ომების პერიოდში, ამ მოვლენამ, საქართველოში, როგორც ნარკოტრანზიტისათვის ხელსაყრელ რეგიონში, განსაკუთრებით საშიში ფორმები მიიღო და ტრეფიკინგი (ადამიანით ვაჭრობა) ჩვეულებრივ მოვლენად იქცა.[12]

3. ორგანიზებული დანაშაული ქართულ კანონმდებლობაში

ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით, ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ საკვანძო ამოცანას.

მართლწესრიგის სფერო სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, მოიცავს ტრანსნაციონალურ და ორგანიზებულ დანაშაულებთან ბრძოლას.[13]

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, „დანაშაული ორგანიზებული ჯგუფის მიერაა ჩადენილი, თუ იგი განახორციელა დროის განსაზღვრულ პერიოდში არსებულმა, შეთანხმებულად მოქმედმა, სტრუქტურული ფორმის მქონე ჯგუფმა, რომლის წევრები წინასწარ შეკავშირდნენ ერთი ან რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად ან რომლის მიზანია პირდაპირ ან არაპირდაპირ ფინანსური ან სხვა მატერიალური სარგებლის უკანონოდ მიღება." აღნიშნული მუხლის შენიშვნის თანახმად, „ამ მუხლის მე-3 ნაწილის მიზნებისათვის, სტრუქტურული ფორმის მქონე ჯგუფად მიიჩნევა ჯგუფი, რომელიც არ არის შემთხვევით შექმნილი დანაშაულის დაუყოვნებლივ ჩასადენად და რომელშიც არ არის აუცილებელი, ფორმალურად იყოს განაწილებული როლები მის წევრთა შორის, წევრობას ჰქონდეს უწყვეტი ხასიათი ან ჩამოყალიბებული იყოს განვითარებული სტრუქტურა."

„თავისთავად ცხადია, რომ ორგანიზებული ჯგუფი, რომელიც მზადაა ერთი ან რამდენიმე მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩასადენად, განსაკუთრებული საშიშროე-

---

[10] The EU Strategy to Tackle Organised Crime 2021-2025, <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A52021DC0170&qid=1632306192409>, [03.06.2025].

[11] ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის 2021-2024 წწ. ეროვნული სტრატეგია, 2, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5256554?publication=0> [03.06.2025].

[12] *Ciklauri-Lammich E.*, Menschenraub, ein Blühendes Gewerbe in der Kaukasusregion, Monatshefte für Osteuropäisches Recht, Hrsg. Dr. Günter Tontsch, Hamburg 2000, 2-9.

[13] ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ საქართველოს კანონის მე-12 მუხლი, <https://matsne.gov.ge/document/view/2764463?publication=14> [03.06.2025].

ბით გამოირჩევა. მით უმეტეს, თუ ორგანიზებულმა ჯგუფმა წინასწარ დაგეგმილი დანაშაული უკვე ჩაიდინა.“[14]

„სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის მრავალი მუხლი ითვალისწინებს ორგანიზებული ჯგუფის მიერ დანაშაულის ჩადენას, როგორც მაკვალიფიცირებელ გარემოებას. ასევე, იცნობს ორგანიზებული დანაშაულის სპეციალურ შემადგენლობას, მაგალითად, ბანდიტიზმს, თუმცა ბანდიტიზმი (სსკ-ის 224-ე მუხლი) და ორგანიზებული ჯგუფის მიერ დანაშაულის ჩადენა (სსკ-ის 27-ე მუხლის მე-3 ნაწილი) არ არის იდენტური ცნებები. ბანდისაგან განსხვავებით, ორგანიზებული ჯგუფი შეიძლება არ იყოს შეიარაღებული (მაგალითად, 180-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტში მოცემული: თაღლითობა, ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ, არ მოითხოვს ამ ჯგუფის შეიარაღებას, საკმარისია ასეთი ჯგუფის სიმყარე). ორგანიზებული ჯგუფი, ისევე, როგორც ბანდა, შეიძლება შეიქმნას ერთი ან რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად.“[15]

ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისას, „კანონიერი ქურდებისა“ და „ქურდული სამყაროს“ წევრების (მათ მხარდამჭერთა) წინააღმდეგ ბრძოლის სისტემური გაძლიერება საკვანძო მიმართულებად მოიაზრება.[16]

„კანონიერი ქურდი“არის საბჭოთა პერიოდის ფენომენი, რომელიც 30-იანი წლების დასაწყისში დამკვიდრდა.“[17]

„საბჭოთა კავშირში „კანონიერი ქურდები“ აკონტროლებდნენ ციხეებში და „ლაგერებში“ მყოფ პატიმართა ცხოვრებას, ხოლო 1960-1970-იანი წლებიდან მათ ამ ფუნქციას ჩრდილოვან ეკონომიკაში მოღვაწე „სპეკულიანტებისა“ და „ცეხავიკების“ კონტროლიც დაემატა (Gurov 1995, Varese 1998, Volkov 1998, 2002).“[18]

„კანონიერი ქურდის“ ინსტიტუტის აღორძინებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა 60-80-იან წლებში სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობაში პოლიტიკურ-ვოლუნტარისტული ჰიპოთეზის – „საბჭოთა კავშირში დანაშაულობის სრული აღმოფხვრის შესაძლებლობის შესახებ“ – შემოჭრამ და ქვეყანაში პროფესიული და ორგანიზებული დანაშაულობის ლიკვიდაციის ილუზიამ.“[19]

ათწლეულების გამავლობაში კრიმინალური სუბკულტურა და ქურდული მენტალიტეტი იმგვარად განვითარდა, რომ „ქურდული სამყაროს“ საქმიანობა კარგად ორგანიზებულ, მათ შორის ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულებრივ საქმიანობად იქცა.

ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გააქტიურება საქართველოში იწყება 2005 წლიდან, როცა მიღებული იქნა საქართველოს კანონი „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ“, რომელმაც 2018 წლის 18 აპრილს მნიშვნელოვანი ცვლილებები განი-

---

14 *ტყეშელიაძე გ. (რედ.),* სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2004, 220.

15 *ტურავა მ.,* სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა (მერვე გამოცემა) , თბ., 2010, 279.

16 ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის 2021-2024 წწ. ეროვნული სტრატეგია, 4, <https://matsne.gov.ge/document/view/5256554?publication=0> [03.06.2025].

17 *ლობჟანიძე გ., ღლონტი გ.,* კანონიერი ქურდები საქართველოში: ისტორია და რეალობა (მონოგრ.), თბ. 2004, 46.

18 *კეკოშვილი ვ.,* კანონიერი ქურდების სუბკულტურის გავლენა მოზარდების სოციალიზაციაზე პოსტ-საბჭოთა საქართველოში (სადისერტ. ნაშრომი), თბ., 2019, 29.

19 *ლობჟანიძე გ., ღლონტი გ.,* კანონიერი ქურდები საქართველოში: ისტორია და რეალობა (მონოგრ.), თბ., 2004, 55.

ცადა.[20] აღნიშნული კანონით დარეგულირებულია ისეთი ცნებები, როგორიცაა „ქურდული სამყარო“, „ქურდული სამყაროს საქმიანობა“, „ქურდული სამყაროს წევრი“, „კანონიერი ქურდი“, „ქურდული გარჩევა,“ „ქურდული შეკრება“.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს, 2005 წელს, დაემატა 223[1]-ე მუხლი (ქურდული სამყაროს წევრობა, კანონიერი ქურდობა).

„პოსტსაბჭოურ სივრცეში საქართველომ პირველმა მიიღო ანტიქურდული კანონმდებლობა, რაც უცილობლად პროგრესულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს.“[21]

2018 წლის 18 აპრილის ცვლილებებით, „ქურდულ სამყაროს წევრობასა“ და „კანონიერ ქურდობასთან“ ერთად, დასჯადი ხდება, – „ქურდულ შეკრებაში“ მონაწილეობა, „ქურდული საქმიანობის“ მხარდაჭერა, „ქურდული სამყაროს“ წევრისთვის/„კანონიერი ქურდისთვის“ მიმართვა ან ამ მიმართვის შედეგად მატერიალური სარგებლის ან მატერიალური უპირატესობის მიღება.[22]

აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებებით დიდწილად გადაიჭრა ამ რთულ ფენომენთან ბრძოლის პროცესში არსებული გამოწვევები, რასაც სასამართლო პრაქტიკის ანალიზისას დეტალურად შევეხებით.

4. ორგანიზებული დანაშაული საერთაშორისო აქტებსა და კონვენციებში

ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის და დანაშაულებრივი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის კონფისკაციის კონტექსტში, ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში, არაერთი საერთაშორისო (გაეროს) თუ რეგიონული (ევროპული) დოკუმენტი იქნა მიღებული, რამაც სხვადასხვა დროს ასახვა ჰპოვა ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობაშიც. „მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი და საჩვენებელი გარდამავალი სისტემის მქონე ქვეყნებისთვის არის: „კონვენცია ფულის გათეთრების, დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მოპოვებული შემოსავლების მოძიების, ამოღების და კონფისკაციის შესახებ“ (1990 წელი), „კონვენცია მექრთამეობის წინააღმდეგ უცხოელ საჯარო მოხელეთა მხრიდან საერთაშორისო ბიზნეს ტრანზაქციებისას“ (1997 წელი), „კონვენცია კორუფციის წინააღმდეგ“ (1999 წელი), „გაერთიანებული ერების კონვენცია ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ“ (2000 წელი), „ევროპის საბჭოს კონვენცია დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღების და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ“ (2005 წელი), ევროკავშირის 2014/42 დირექტივა დანაშაულის საგნებისა და დანაშაულებრივი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის დაყადაღებისა და კონფისკაციის შესახებ (2014 წელი).“[23]

გაეროს 2000 წლის 15 ნოემბრის „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კონვენცია“ არის ერთ-ერთი ჩარჩო საერთაშორისო ინსტრუმენტი ორგა-

---

[20] 2005 წლის 20 დეკემბრის საქართველოს კანონი ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ, <https://matsne.gov.ge/document/view/27814?publication=1> [03.06.2025].

[21] *ნაჭყებია გ. (რედ.),* ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, თბ., 2012, 528.

[22] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223[1]-ე-223[4]-ე მუხლები, <https://matsne.gov.ge/document/view/16426?publication=264> [03.06.2025].

[23] *Orlovska N., Stepanova J.,* Confiscation of Proceeds and Property Related to Crimes: International Standarts and the ECHR Practice, 10 Juridical Trib., 2000, 499-500 [03.06.2025].

ნიზებულ დანაშაულთან ბრძოლაში.[24] „ეს იყო საუკუნის პირველი საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც ხელმოსაწერად გაიხსნა ქვეყნებისათვის ათასწლეულის მაღალი დონის კონფერენციაზე, რომელიც გაიმართა იტალიაში, ქალაქ პალერმოში 2000 წლის 12 დეკემბრიდან 15 დეკემბრამდე.“[25]

„პალერმოს კონვენცია შეიქმნა, როგორც მექანიზმი ტრანსსასაზღვრო დანაშაულებრივი საქმიანობის წინააღმდეგ. კონვენციის საკვანძო ასპექტები მოიცავს, – რომ ეროვნულ კანონმდებლობაში სისხლისსამართლებრივად დასჯადი იყოს ორგანიზებულ დანაშაულებრივ ჯგუფში მონაწილეობა, ფულის გათეთრება, კორუფცია და მართლმსაჯულებისათვის ხელის შეშლა (1), ასევე საერთაშორისო თანამშრომლობის მექანიზმის გაწერას, რაც გულისხმობს ექსტრადიციას, ორმხრივ სამართლებრივ დახმარებას და სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლობას (2), ასევე ეროვნულ დონეზე საჯარო სამსახურების კვალიფიკაციის ამაღლებასა და ტექნიკურ მხარდაჭერას (3).“[26]

კონვენციაში მოცემულია ისეთი მნიშვნელოვანი ცნებები (მუხლი 2), როგორიცაა:

ა) „დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფი“, – ერთი ან რამდენიმე მძიმე დანაშაულის ან ამ კონვენციის შესაბამისად ასეთად მიჩნეული დანაშაულის ჩადენის მიზნით დროის განსაზღვრულ პერიოდში არსებულ და შეთანხმებულად მოქმედი სტრუქტურული ფორმის მქონე, სამი ან მეტი პირისაგან შემდგარ ჯგუფს, რომლის მიზანია პირდაპირ ან არაპირდაპირ მიიღოს ფინანსური ან სხვა მატერიალური სარგებელი.

ბ) „მძიმე დანაშაული“ – დანაშაული, რომელიც ისჯება თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალური ვადით, არანაკლებ ოთხი წლისა ან სასჯელის უფრო მკაცრი ზომით;

გ) „სტრუქტურული ფორმის მქონე ჯგუფი“ – ჯგუფი, რომელიც არ არის შემთხვევით შექმნილი დანაშაულის დაუყოვნებლივ ჩასადენად და რომელშიც არ არის აუცილებელი ფორმალურად იყოს განაწილებული როლები მის წევრთა შორის, წევრობას ჰქონდეთ უწყვეტი ხასიათი ან ჩამოყალიბებული იყოს განვითარებული სტრუქტურა;

დ) „ქონება“ – ნებისმიერი სახის აქტივი (ქონება), მატერიალური ან არამატერიალური, მოძრავი ან უძრავი, გამოხატული ნივთებით ან უფლებებით, აგრეთვე იურიდიული დოკუმენტები ან აქტები, რომლებიც ადასტურებენ ამგვარ აქტივებზე უფლებას ან მათდამი ქონებრივ ინტერესს;

ე) „დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავალი“ – დანაშაულის ჩადენის გზით პირდაპირ ან არაპირდაპირ შეძენილი ან მიღებული ნებისმიერი ქონება;

ვ) „ყადაღა“ ან „ამოღება“ – ქონების გადაცემის, გარდაქმნის, განკარგვის ან გადაადგილების დროებით აკრძალვა ან სასამართლოს ან სხვა კომპეტენტური ორგანოს გადაწყვეტილებით მასზე დროებითი კონტროლის განხორციელება ან მის დროებით დაუფლება;

ზ) „კონფისკაცია“ – სასამართლოს ან სხვა კომპეტენტური ორგანოს გადაწყვეტილებით ქონების საბოლოო ჩამორთმევა;

„კონვენციამ შემოგვთავაზა „ტრანსნაციონალურის“ განმარტება კონვენციის მიზნებისათვის. ის მოიცავს დანაშაულებს, რომლებსაც გააჩნია ტრანსნაციონალური ხასიათი და

[24] გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ, <https://matsne.gov.ge/document/view/1485286?publication=0> [03.06.2025].

[25] *Ciopec F.,* Compatibility of Romaninan Legislation with the UN Convention Against Transnational Organized Crime, 39 Zbornik Radova, 2005, 213.

[26] *Borgstede G.,* Cultural Property, the Palermo Convention and Transnational Organized Crime, 21 IJCP, 2014, 283.

მასში ჩართულია ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი. დანაშაული ტრანსნაციონალური ხასიათისაა, თუ ა) ჩადენილია ერთზე მეტ სახელმწიფოში; ბ) ჩადენილია ერთ სახელმწიფოში, მაგრამ მისი მომზადების, დაგეგმვის, ხელმძღვანელობის ან კონტროლის არსებითი ნაწილი ხორციელდება სხვა სახელმწიფოში; გ) ჩადენილია ერთ სახელმწიფოში, მაგრამ დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფის მონაწილეობით, რომელიც დანაშაულებრივ საქმიანობას ეწევა ერთზე მეტ სახელმწიფოში; ან დ) ჩადენილია ერთ სახელმწიფოში, მაგრამ მისი არსებითი შედეგები ვლინდება სხვა სახელმწიფოში."[27]

2024 წლის 24 აპრილს, ევროპის კომისიის წარდგინებით, მიღებულია განახლებული დირექტივა დანაშაულებრივი ქონების დაბრუნებასა და კონფისკაციაზე.[28]

დირექტივის მიხედვით (2), კრიმინალური ორგანიზაციების, რომლებიც ტრანსნაციონალურად მოქმედებენ, მათ შორის მაღალი რისკის მქონე კრიმინალური ქსელების, ძირითადი მოტივი ფინანსური სარგებელია. იმ სერიოზული საფრთხის შესამცირებლად, რასაც ქმნის ორგანიზებული დანაშაული, კომპეტენტურმა უწყებებმა მეტი ინსტიტუციური ძალისხმევა და ყურადღება უნდა დაუთმონ დანაშაულებრივი ქონებისა და დანაშაულებრივი საქმიანობისათვის აუცილებელი საგნების ეფექტურ მოძიებას, იდენტიფიკაციას, დაყადაღებას, კონფისკაციას და მართვას.

5. ორგანიზებული დანაშაული და თანამონაწილეობა დანაშაულში

ორგანიზებულ დანაშაულთან თვისებრივი ერთიანობის გამო, ასევე ბოლო ათწლეულების განმავლობაში ორგანიზებული დანაშაულის ჩადენის ფორმებისა და მეთოდების მუდმივი ცვალებადობა, მისი მზარდი ტრანსნაციონალიზაცია, აუცილებელს ხდის გაანალიზდეს დანაშაულში თანამონაწილეობის საკითხი.

„დანაშაულში თანამონაწილეობა ნიშნავს ორი ან მეტი პირის განზრახ ერთობლივ მონაწილეობას განზრახი დანაშაულის ჩადენაში."[29]

„განზრახი, მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში ორი ან მეტი პირის ერთობლივი მონაწილეობის შემთხვევაში, მათი როლების გასამიჯნად, ქართული სისხლის სამართალი იყენებს ე.წ დუალისტურ სისტემას. ეს სისტემა, დანაშაულის ჩადენის პროცესში შესრულებული როლის მიხედვით, თითოეულ მონაწილეს განიხილავს ამსრულებლად ან თანამონაწილედ."[30]

„ამსრულებელი არის ადამიანი, რომელიც მოვლენის „ცენტრალური პერსონაჟის" (=მთავარი ფიგურის) სახით, ქმედებაზე ბატონობას გეგმურ -მმართველობით ან თანაინფორმირებულობით ფლობს, რის შედეგადაც, საკუთარი ნების მიხედვით, ქმედების შემადგენლობის განხორციელების, პროცესის შეჩერების ან გაგრძელების უნარი შესწევს. თანამონაწილე კი ის პიროვნებაა, რომელიც ქმედებაზე საკუთარი ბატონობის გარეშე, რეალური

---

[27] *Clark R. S.,* The United Nations Convention Against Transnational Organized Crime, 50 WAYNE L. Rev., 2004, 167.

[28] Directive (EU) 2024/1260 of the European Parliament and of the Council on Asset Recovery and Confiscation, <https://eur-lex.europa.eu/eli/dir/2024/1260/oj> [05.08.2025].

[29] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 23-ე მუხლი, <https://matsne.gov.ge/document/view/16426?publication=267> [03.06.2025].

[30] *ტურავა მ.,* სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა (მერვე გამოცემა), თბ., 2010, 265.

მოვლენის „გვერდითი ფიგურის“ სახით ქმედების ჩადენას გამოწვევს, ან სხვაგვარად ხელს შეუწყობს მას.“[31]

„თანამონაწილეობა დანაშაულის ჩადენაში შესაძლებელია არამარტო მოქმედებით, არამედ უმოქმედობითაც. ამასთან, ამსრულებლისათვის აუცილებელი არაა თანამონაწილე, მაგრამ თანამონაწილისათვის აუცილებელია ამსრულებელი, ვინაიდან თანამონაწილეობა აქცესორული ბუნებისაა.“[32]

„სიტყვა აქცესორული (accessorius) ლათინური სიტყვაა და ნიშნავს დამატებითს, მიერთებულს. თუ ამ ცნებას თანამონაწილეობის კონტექსტში განვიხილავთ, მაშინ ეს ნიშნავს თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის ერთგვარ დამოკიდებულებას ამსრულებლის ქმედებისაგან.“[33]

„საერთოდ თანამონაწილეობის ცნება შეიქმნა იმასთან დაკავშირებით, რომ თანამონაწილეთა პასუხისმგებლობას ზოგიერთი თავისებურება ახასიათებს. ეს თავისებურებანი განსაკუთრებით თავს იჩენენ ისეთი სახის თანამონაწილეობის დროს, რომელსაც უწოდებენ თანამონაწილეობას ვიწრო მნიშვნელობით. ეს ისეთი თანამონაწილეობაა, როცა დამნაშავე უშუალოდ არ ასრულებს სისხლის სამართლის განსაკუთრებული ნაწილით გათვალისწინებულ შემადგენლობას.“[34] ავტორს მხედველობაში აქვს თანამონაწილეობა დამნაშავეებს შორის როლების განაწილებით. საუბარია დანაშაულის ორგანიზატორზე, წამქეზებელსა და დამხმარეზე.

ის გარემოება, რომ ორგანიზატორი, წამქეზებელი თუ დამხმარე, უშუალოდ არ ახორციელებს დანაშაულის შემადგენლობას, თითქოს საეჭვოს ხდის საფუძველს მათი დასჯადობისათვის, თუმცა თანამონაწილეთა დასჯადობის კანონიერება სრულიად ეჭვგარეშეა. ორგანიზატორის, წამქეზებლისა და დამხმარის ქმედება კავშირშია ამსრულებლის ქმედებასთან. მეტიც, ორგანიზატორის ან სხვა თანამონაწილეთა გარეშე ამსრულებლის ქმედება შესაძლოა საერთოდ ვერ შემდგარიყო და დანაშაული განუხორციელებელი დარჩენილიყო.

თანამონაწილეთა პასუხისმგებლობა ერთიან საფუძველს რომ უნდა დაყრდნობოდა, თ. წერეთელმა იმთავითვე შენიშნა. თანამონაწილეობის დროს არსებობს რამდენიმე პირის მიერ ჩადენილი ერთი დანაშაული, – ერთი საზოგადოებრივად საშიში ქმედება, რომელიც ერთიანია თავისი მატერიალური შემადგენლობით.[35]

მოცემული საკითხის მიმართ ასეთი დამოკიდებულება გრძელდებოდა მანამ, ვიდრე გერმანელმა მეცნიერმა ე. მეცგერმა საბოლოოდ არ დაამუშავა უმართლობის სუბიექტური ელემენტების პრობლემა. ძირითადი არსი მის მიერ შემუშავებული დებულებისა ის იყო, რომ ამა თუ იმ ტიპურ სისხლისსამართლებრივ უმართლობას ზოგჯერ ობიექტურ ნიშნებთან ერთად აფუძნებს სუბიექტური ელემენტიც, კერძოდ, ისეთი სუბიექტური ნიშანი, როგორიცაა მიზანი, ვინაიდან ამ უკანასკნელის გარეშე ხსენებული უმართლობანი ვერ იარსებებენ.

ე. მეცგერის ხედვა ქართულ სინამდვილეში განავითარა ო. გამყრელიძემ, რომელმაც ჩამოაყალიბა მოძღვრება ერთიანი უმართლობის, როგორც თანამონაწილეთა დასჯადობის ერთიანი საფუძვლის შესახებ. მან უმართლობის სუბიექტური ნიშნების პრობლემა გამოიკვლია რა თანამონაწილეობის დასჯადობის პრობლემასთან მიმართებაში, იმ დასკვნამდე მივი-

---

[31] *ვესელსი ი., ბოილკე ვ.,* სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ. 2010, 290-291.
[32] *ტურავა მ.,* სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა (მერვე გამოცემა), თბ., 2010, 272.
[33] *სურგულაძე ლ.,* სისხლის სამართალი, თბ., 1997, 354.
[34] *წერეთელი თ.,* თანამონაწილეობა დანაშაულში, თბ., 1965, 7-8.
[35] *წერეთელი თ.,* თანამონაწილეობა დანაშაულში, თბ., 1965, 55.

და, რომ თანამონაწილეობის დასჯადობის ერთიან საფუძველს წარმოადგენს მათ მიერ ჩადენილი ერთიანი უმართლობა, ხოლო ამ ერთიან უმართლობას კი ქმნის საერთო მიზანი, რომლითაც დანაშაულის ჩამდენი პირები ერთმანეთთან უნდა იყვნენ დაკავშირებულები, მიუხედავად ამისა, თუ რა მოტივი ამოძრავებდა თითოეულ მათგანს.[36]

„მაშასადამე, ამსრულებელი და თანამონაწილე ახორციელებენ ერთ და იმავე უმართლობას. ამასთან, თანამონაწილეობა აუცილებლად გულისხმობს ცოდნას ამსრულებლის დანაშაულებრივი ქმედების შესახებ. საკმარისია, თუ თანამონაწილეებმა იციან ამსრულებლის მოქმედების თაობაზე, მაგრამ თანამონაწილეთა პასუხისმგებლობისათვის არ არის აუცილებელი ამსრულებელმა იცოდეს მათი მოქმედების შესახებ.“[37]

„ობიექტური თვალსაზრისით, თანაამსრულებლობის დასადასტურებლად აუცილებელია, რომ დანაშაულში მონაწილე ყოველი პირი დანაშაულის ჩადენის შესახებ მიღებული საერთო გადაწყვეტილების საფუძველზე და მისსავე ფარგლებში ახორციელებდეს დელიქტის ჩადენისათვის ხელშემწყობი წვლილის შეტანას.“[38]

ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისას განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სწორედ თანამონაწილეთა, განსაკუთრებით, ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების ხელმძღვანელებისა და ლიდერების პასუხისმგებლობის უტყუარი დადგენა. ამდენად, თანამონაწილეობის ფორმებისა და სახეების გაანალიზება დაგვეხმარება ორგანიზებული დანაშაულის არსში უკეთ გარკვევაში.

თანამონაწილეობა „სამი ფორმით ვლინდება: რთული თანამონაწილეობა, ანუ თანამონაწილეობა როლების განაწილებით; მარტივი თანამონაწილეობა, ანუ თანაამსრულებლობა; ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი. მაგრამ რამდენადაც დანაშაულში თანამონაწილეობა სუბიექტური კავშირის გარეშე შეუძლებელია. ამდენად თანაამსრულებლობა, თავის მხრივ, შეიძლება დავყოთ ორ ფორმად: წინასწარ შეთანხმების გარეშე და წინასწარი შეთანხმებით. მაშასადამე, არსებობს დანაშაულში თანამონაწილეობის ხუთი ფორმა.“[39]

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 24-ე მუხლის მიხედვით, ორგანიზატორია ის, ვინც მოაწყო დანაშაულის ჩადენა ან ხელმძღვანელობდა მის განხორციელებას, აგრეთვე ის, ვინც შექმნა ორგანიზებული ჯგუფი ან ხელმძღვანელობდა მას. წამქეზებელია ის, ვინც დაიყოლია სხვა პირი განზრახი დანაშაულის ჩასადენად. დამხმარეა ის, ვინც ხელი შეუწყო დანაშაულის ჩადენას.

„დანაშაულის ორგანიზატორი თანამონაწილეთა და თანაამსრულებელთა შორის უმთავრესი ფიგურაა,“[40] თუმცა ორგანიზებული, მათ შორის ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების საქმიანობაში წამქეზებელსა და დამხმარეს არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება.

ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფებისათვის ბუნებრივად დამახასიათებელია პირთა სიმრავლე, ჯგუფის მზარდი შევსების აუცილებლობა ახალი წევრებით. ასევე, საქმიანობის სპეციფიკა, მუდმივად საჭიროებს სხვადასხვა, როგორც აქტიურ, ისე პასიური ფორმის დახმარებას.

---

36 *გამყრელიძე ო.,* სისხლისსამართლებრივი უმართლობის პრობლემა და თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძვლები, თბ., 1989.

37 *ტურავა მ.,* სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა (მერვე გამოცემა), თბ., 2010, 275-276.

38 *ვესელსი ი., ბოილკე ვ.,* სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2010, 299.

39 *ნაჭყებია გ.,* სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2007, 203-204.

40 იქვე, 211.

ასევე, არც ისაა გამორიცხული, რომ ფუნქციურად, თითოეულ მათგანს, სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ტიპის დანაშაულის ჩადენისას, განსხვავებული როლის მორგება მოუწიოთ. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ მათი ერთმანეთისაგან ცალსახად გამიჯვნა პრაქტიკულად შესაძლებელია ვერც მოხერხდეს.

მ. ტურავა მოძველებულად მიიჩნევს ნორმის იმგვარ ინტერპრეტაციას, რომ ამსრულებელია ის, ვინც უშუალოდ ახორციელებს ქმედების ობიექტურ შემადგენლობას, ხოლო ის ვინც ფუნქციონალურად არის დაკავშირებული შემადგენლობის განხორციელებასთან, შეიძლება იყოს დამხმარე.

„დანაშაულის ჩადენაში ასევე მონაწილეობს ის პირი, ვინც დანაშაულის ჩადენის უშუალო პროცესში ხელს უწყობს ამსრულებელს და უადვილებს მას ქმედების შემადგენლობის განხორციელებას. ასეთი პირი არ შეიძლება იყოს დამხმარე, ის ფუნქციონალური თანაამსრულებელია.“ [41]

ორგანიზებული დანაშაულობისთვის ასევე თვისებრივად დამახასიათებელია ახალ დანაშაულთა ჩადენა. ამდენად, გარდა თანამონაწილეობისა, იგი კავშირშია ისეთ სისხლისსამართლებრივ ინსტიტუტებთან, როგორიცაა – ერთიანი დანაშაული და დანაშაულის სიმრავლე. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ განგრძობად დანაშაულში, დანაშაულის განმეორების მომენტი არ ქმნის დანაშაულის სიმრავლეს. „ქმედების განგრძობად დანაშაულად მიჩნევა, ჩვეულებრივ, ფაქტის საკითხია და არა საკანონმდებლო კონსტრუქციის ნაყოფი.“[42]

აღსანიშნავია ისიც, რომ არ არის გამორიცხული ერთი კონკრეტული დანაშაულის ჩადენის მიზნით ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის შექმნა. 2000 წლის პალერმოს კონვენცია, ასევე მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი (27-ე მუხლის მე-3 ნაწილი, – ცვლილება შევიდა 2006 წელს) ასეთი ჯგუფის მიერ ერთი ან რამდენიმე დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობას უშვებს.

მთავარია სახეზე გვქონდეს ორგანიზებული დანაშაულისათვის დამახასიათებელი თანაამსრულებლობის შესაბამისი წინაპირობები. ამ მხრივ საინტერესო პარალელის გავლება შეიძლება საერთაშორისო სისხლის სამართლის პრეცედენტულ პრაქტიკასთან.

თანაამსრულებელთა პასუხისმგებლობის ერთიანი სტანდარტის შემოღებისა და დამაფუძნებელი ობიექტური ელემენტების გასამყარებლად „ISTI-მ (International criminal tribunal for the former Yogoslaia), Prosecutor v. Tadic-ის საქმეზე, განსაზღვრა JCE-ის (Joint criminal enterprise) სამი აუცილებელი ობიექტური ელემენტი ყველა კატეგორიის მიმართ. ესენია: – მონაწილეთა სიმრავლე (plurality of persons); – (საერთო გეგმის, მიზნის არსებობა (existence of common plan, design), – ბრალდებულის მონაწილეობა საერთო გეგმაში (participation of the accused on the common design).[43]

ორგანიზებული დანაშაულობის სტრატეგიული მიზანი სწორედ დანაშაულებრივი საქმიანობის უწყვეტი გაფართოებაა და თანამედროვე პერიოდში იგი გვევლინება ერთგვარ კრიმინალურ ინდუსტრიად, რაც აუცილებელს ხდის მის მიმართ გატარდეს მიზანმიმართული და მკაცრი სისხლის სამართლის პოლიტიკა.

---

41 *ტურავა მ.,* სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა (მერვე გამოცემა), თბ., 2010, 272.

42 *ტყეშელიაძე გ.,* პასუხისმგებლობა დანაშაულთა ერთობლიობისათვის, თბ., 1985, 32.

43 *დგებუაძე გ.,* დანაშაულის ინდივიდუალური შერაცხვის დოქტრინა და პრეცედენტული სამართალი საერთაშორისო სისხლის სამართალში, თბ. 2021, 115-116.

6. ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის ქართული გამოცდილება

„მიუხედავად იმისა, რომ ორ ათწლეულზე მეტი გავიდა „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კონვენციის“ მიღებიდან, ნათელია, რომ ორგანიზებული დანაშაული ჯერ კიდევ კომპლექსური მოვლენაა, რომელსაც იზოლირებულად ვერცერთი სახელმწიფო ვერ მოერევა“.[44]

„ორგანიზებული დანაშაულის ტრანსნაციონალური საფრთხე და ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების მიერ ჩადენილი დანაშაულის ევოლუციური ხასიათი (Modi Operandi), ფარული და ღია მოქმედების ხელწერა, საჭიროებს მიზანმიმართულ და განახლებულ ზემოქმედებას. ეროვნულ შესაბამის უწყებებს, რომლებსაც უწევთ წამყვანი როლის შესრულება ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლაში, აუცილებელია, როგორც ევროკავშირის, ისე გლობალურ დონეზე ჰქონდეთ ეფექტური თანამშრომლობა და ინფორმაციის გაცვლა, ერთიანი სისხლის სამართლებრივი სისტემის მეშვეობით, ასევე – შესაბამისი მატერიალური რესურსები.“[45]

„სერიოზული და ორგანიზებული დანაშაულის უმეტესობის მთავარი მოტივატორი ფინანსური სარგებლის მიღებაა.“[46]

ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სტრატეგია სამი მიმართულებით ამახვილებს ყურადღებას, – კანონიერი ქურდებისა და ქურდული სამყაროს, კიბერდანაშაულის და ნარკოდანაშაულის მიმართებით.[47]

იქვე ხაზგასმულია, რომ „დანაშაულთან და კერძოდ, ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლა მუდმივი პროცესია, განსაკუთრებით თანამედროვე ტექნოლოგიური განვითარების ფონზე, სადაც, როგორც სამართალდამცავი სტრუქტურები, ასევე დამნაშავეთა სამყარო ავითარებს შესაძლებლობებს.“[48]

ორგანიზებულ დანაშაულთან კავშირში, ქართული გამოცდილების შესასწავლად, კვლევის ამ ნაწილში გაანალიზებულია „კანონიერ ქურდებსა“ და „ქურდულ სამყაროსთან“ მიმართებით საერთო სასამართლოების 2021-2023 წლების პრაქტიკა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 18 თებერვლის განაჩენით, მ. გ. და სხვები გასამართლდნენ ძალადობისთვის, თავისუფლების უკანონო აღკვეთისათვის, „ქურდული სამყაროს“ წევრობისათვის, „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდაჭერისა და „ქურდული სამყაროს“ წევრისთვის / „კანონიერი ქურდისთვის“ მიმართვისათვის. ამასთან, გ.ღ „კანონიერი ქურდობის“ ბრალდებაში (დაუსწრებლად) გამართლდა. დამატებით სასჯელად ქონების ჩამორთმევა არ გამოყენებულა.[49]

---

[44] UNODC-Organized Crime Strategy Toolkit for Developing High-Impact Strategies, 1, <https://sherloc.unodc.org/cld/uploads/pdf/Strategies/OC_Strategy_Toolkit_Ebook.pdf> [03.06.2025].

[45] The EU Strategy to Tackle Organised Crime 2021-2025 <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A52021DC0170&qid=1632306192409> [03.06.2025].

[46] საქართველოს პროკურატურის 2022-2027 წწ. სტრატეგია, 37, <https://pog.gov.ge/uploads/7f5da215-saqarTvelos-prokuraturis-2022-2027-wlebisstrategia.pdf> [03.06.2025].

[47] ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის 2021-2024 წწ. ეროვნული სტრატეგია, 4, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5256554?publication=0>, [03.06.2025].

[48] ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის 2021-2024 წწ. ეროვნული სტრატეგია, 7, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5256554?publication=0>, [03.06.2025].

[49] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 18 თებერვლის №1/3309-22 განაჩენი.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 05 მარტის განაჩენით, თ. გ. (დაუსწრებლად) და სხვები გასამართლდნენ გამოძალვისათვის, „კანონიერი ქურდობისათვის“, „ქურდული სამყაროს“ წევრობისა და ნარკოტიკული საშუალების დათესვა/მოყვანისათვის. დამატებით სასჯელად ქონების ჩამორთმევა არ გამოყენებულა.[50]

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 17 მარტის განაჩენით, ი. ჩ. და სხვები გასამართლდნენ „ქურდული სამყაროს“ წევრობისათვის, „კანონიერი ქურდობისთვის“(დაუსწრებლად) „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდაჭერისა და „ქურდული სამყაროს“ წევრისთვის / „კანონიერი ქურდისთვის“ მიმართვისათვის. დამატებით სასჯელად ქონების ჩამორთმევა არ გამოყენებულა.[51]

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 07 აპრილის განაჩენით, მ. გ. გასამართლდა „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდაჭერისათვის. დამატებით სასჯელად ქონების ჩამორთმევა არ გამოყენებულა.[52]

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 23 სექტემბრის განაჩენით, კ. ქ. და რ.გ (დაუსწრებლად) გასამართლდნენ „ქურდული სამყაროს“ წევრობისა და „კანონიერი ქურდობისთვის“. დამატებით სასჯელად ქონების ჩამორთმევა არ გამოყენებულა.[53]

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 10 დეკემბრის განაჩენით, ხ. პ. და ე. ა. გასამართლდნენ გამოძალვისათვის, „ქურდული სამყაროს“ წევრობისა და „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდაჭერისათვის. დამატებით სასჯელად ქონების ჩამორთმევა არ გამოყენებულა.[54]

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 27 დეკემბრის განაჩენით, ბ. ა. და სხვები გასამართლდნენ „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდაჭერისა და „ქურდული სამყაროს“ წევრისთვის / „კანონიერი ქურდისთვის“ მიმართვისათვის. დამატებით სასჯელად ქონების ჩამორთმევა არ გამოყენებულა.[55]

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 15 მარტის განაჩენით, გ. რ. გასამართლდა „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდაჭერისათვის. დამატებით სასჯელად ქონების ჩამორთმევა არ გამოყენებულა.[56]

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 17 მარტის განაჩენით, დ. ქ. და სხვები გასამართლდნენ „ქურდული სამყაროს“ წევრობისა და „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდაჭერისათვის. დამატებით სასჯელად ქონების ჩამორთმევა არ გამოყენებულა.[57]

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 01 აპრილის განაჩენით, ა. ა. და სხვები გასამართლდნენ „ქურდული სამყაროს“ წევრობისა და „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდაჭერისათვის. დამატებით სასჯელად ქონების ჩამორთმევა არ გამოყენებულა.[58]

ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 05 აპრილის განაჩენით, თ. ნ. და სხვები გასამართლდნენ ძალადობისთვის, „ქურდული სამყაროს“ წევრობისათვის და „ქურდული სამ-

[50] ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 05 მარტის №1/465-20 განაჩენი.
[51] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 17 მარტის №1/3252-20 განაჩენი.
[52] ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 07 აპრილის №1/664-20 განაჩენი.
[53] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 23 სექტემბრის №1/468-21 განაჩენი.
[54] რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 10 დეკემბრის №1-334-21 განაჩენი.
[55] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 27 დეკემბრის №1/5491-21 განაჩენი.
[56] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 15 მარტის №1/947-22 განაჩენი.
[57] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 17 მარტის №1/1349-21 განაჩენი.
[58] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 01 აპრილის №1/4408-21 განაჩენი.

ყაროს“ საქმიანობის მხარდაჭერისათვის. დამატებით სასჯელად ქონების ჩამორთმევა არ გამოყენებულა.[59]

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 01 აპრილის განაჩენით, ს. ტ. და სხვები გასამართლდნენ „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდაჭერისათვის. დამატებით სასჯელად ქონების ჩამორთმევა არ გამოყენებულა.[60]

ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 06 აპრილის განაჩენით, ა. ჯ. და სხვები გასამართლდნენ გამოძალვისათვის, „ქურდული სამყაროს“ წევრობისა, „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდაჭერისათვის და ნარკოტიკული საშუალების დათესვა/მოყვანისათვის. დამატებით სასჯელად ქონების ჩამორთმევა არ გამოყენებულა.[61]

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 15 აპრილის განაჩენით, გ. დ. და სხვები გასამართლდნენ „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდაჭერისა და „ქურდული სამყაროს“ წევრისთვის / „კანონიერი ქურდისთვის“ მიმართვისათვის. დამატებით სასჯელად ქონების ჩამორთმევა არ გამოყენებულა.[62]

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 20 აპრილის განაჩენით, შ. კ. გასამართლდა „ქურდული სამყაროს“ წევრისთვის / „კანონიერი ქურდისთვის“ მიმართვისათვის. დამატებით სასჯელად ქონების ჩამორთმევა არ გამოყენებულა.[63]

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 13 ივნისის განაჩენით, შ. მ. და სხვები გასამართლდნენ „ქურდული სამყაროს“ წევრობისა და „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდაჭერისათვის. დამატებით სასჯელად ქონების ჩამორთმევა არ გამოყენებულა.[64]

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 27 დეკემბრის განაჩენით, ნ. ჩ. და სხვები გასამართლდნენ „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდაჭერისა და „ქურდული სამყაროს“ წევრისთვის / „კანონიერი ქურდისთვის“ მიმართვისათვის. დამატებით სასჯელად ქონების ჩამორთმევა არ გამოყენებულა.[65]

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 13 სექტემბრის განაჩენით, ზ. მ. და სხვები გასამართლდნენ „ქურდული სამყაროს“ წევრობისთვის, „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდაჭერისა და „ქურდული სამყაროს“ წევრისთვის / „კანონიერი ქურდისთვის“ მიმართვისათვის. დამატებით სასჯელად ქონების ჩამორთმევა არ გამოყენებულა.[66]

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 13 ივნისის განაჩენით, გ. ლ. და სხვები გასამართლდნენ „ქურდული სამყაროს“ წევრობისა და „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდაჭერისათვის. დამატებით სასჯელად ქონების ჩამორთმევა არ გამოყენებულა.[67]

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 16 სექტემბრის განაჩენით, ი. მ. და სხვები გასამართლდნენ „ქურდული სამყაროს“ წევრობისთვის და „ქურდული სამყაროს“ წევრისთვის / „კანონიერი ქურდისთვის“ მიმართვისათვის. დამატებით სასჯელად ქონების ჩამორთმევა არ გამოყენებულა.[68]

---

[59] ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 05 აპრილის №1/226-21 განაჩენი.
[60] რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 05 აპრილის №1-514-21 განაჩენი.
[61] ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 06 აპრილის №1/237-21 განაჩენი.
[62] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 15 აპრილის №1/3333-21 განაჩენი.
[63] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 20 აპრილის №1/1947-22 განაჩენი.
[64] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 13 ივნისის №1/4642-21 განაჩენი.
[65] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 16 ივნისის №1/385-22 განაჩენი.
[66] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 13 სექტემბრის №1/5937-19 განაჩენი.
[67] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 13 სექტემბრის №1/968-22 განაჩენი.
[68] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 16 სექტემბრის №1/374-22 განაჩენი.

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 20 სექტემბრის განაჩენით, ლ. ჯ. და სხვები გასამართლდნენ „ქურდული სამყაროს“ წევრობის, „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდაჭერისათვის და კანონიერ ძალაში შესული განაჩენის შეუსრულებლობისათვის. დამატებით სასჯელად ქონების ჩამორთმევა არ გამოყენებულა.[69]

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 12 ოქტომბრის განაჩენით, ი. მ. და სხვები გასამართლდნენ „ქურდული სამყაროს“ წევრისთვის / „კანონიერი ქურდისთვის“ მიმართვისათვის. დამატებით სასჯელად ქონების ჩამორთმევა არ გამოყენებულა.[70]

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 16 დეკემბრის განაჩენით, ლ. თ. და ვ.ტ გასამართლდნენ „ქურდული სამყაროს“ წევრობისთვის და „ქურდული სამყაროს“ წევრისთვის / „კანონიერი ქურდისთვის“ მიმართვისათვის. დამატებით სასჯელად ქონების ჩამორთმევა არ გამოყენებულა.[71]

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 26 დეკემბრის განაჩენით, ზ. ხ. და სხვები გასამართლდნენ „ქურდული სამყაროს“ წევრობისთვის, „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდაჭერისა და „ქურდული სამყაროს“ წევრისთვის / „კანონიერი ქურდისთვის“ მიმართვისათვის. დამატებით სასჯელად ქონების ჩამორთმევა არ გამოყენებულა.[72]

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 06 იანვრის განაჩენით, ა. ც. და სხვები გასამართლდნენ „ქურდული სამყაროს“ წევრობისთვის, „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდაჭერისა და „ქურდული სამყაროს“ წევრისთვის / „კანონიერი ქურდისთვის“ მიმართვისათვის. დამატებით სასჯელად ქონების ჩამორთმევა არ გამოყენებულა.[73]

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 17 მარტის განაჩენით, მ. მ. და სხვები გასამართლდნენ „ქურდული სამყაროს“ წევრობისათვის, „კანონიერი ქურდობისთვის“ (დაუსწრებლად), „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდაჭერისა და „ქურდული სამყაროს“ წევრისთვის / „კანონიერი ქურდისთვის“ მიმართვისათვის. დამატებით სასჯელად ქონების ჩამორთმევა არ გამოყენებულა.[74]

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 16 თებერვლის განაჩენით, თ. გ. (დაუსწრებლად) და სხვები გასამართლდნენ იძულებისათვის, არაადამიანური მოპყრობისათვის, „კანონიერი ქურდობისათვის“, „ქურდული სამყაროს“ წევრობისათვის, „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდაჭერისა და „ქურდული სამყაროს“ წევრისთვის / „კანონიერი ქურდისთვის“ მიმართვისათვის. დამატებით სასჯელად ქონების ჩამორთმევა არ გამოყენებულა.[75]

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 14 მარტის განაჩენით, რ. გ. და სხვები გასამართლდნენ „ქურდული სამყაროს“ წევრისთვის / „კანონიერი ქურდისთვის“ მიმართვისათვის. დამატებით სასჯელად ქონების ჩამორთმევა არ გამოყენებულა.[76]

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 14 მარტის განაჩენით, ლ. დ. და სხვები გასამართლდნენ „ქურდული სამყაროს“ წევრობისთვის, „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდაჭერის, „ქურდული სამყაროს“ წევრისთვის / „კანონიერი ქურდისთვის“ მიმართვისათ-

[69] ახალციხის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 20 სექტემბრის №1/107-22 განაჩენი.
[70] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 12 ოქტომბრის №1/3450-22 განაჩენი.
[71] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 16 დეკემბრის №1/6471-22 განაჩენი.
[72] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 26 დეკემბრის №1/2641-22 განაჩენი.
[73] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 06 იანვრის №1/2742-22 განაჩენი.
[74] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 16 იანვრის №1/2777-22 განაჩენი.
[75] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 16 თებერვლის №1/3444-22 განაჩენი.
[76] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 14 მარტის №1/4582-22 განაჩენი.

ვის, ცეცხლსასროლი იარაღისა და ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვისათვის. დამატებით სასჯელად ქონების ჩამორთმევა არ გამოყენებულა.[77]

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 30 მარტის განაჩენით, მ. ხ. და მ. დ. გასამართლდნენ „ქურდული სამყაროს" წევრისთვის / „კანონიერი ქურდისთვის" მიმართვისათვის. დამატებით სასჯელად ქონების ჩამორთმევა არ გამოყენებულა.[78]

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 05 აპრილის განაჩენით, თ. ფ. და სხვები გასამართლდნენ „ქურდული სამყაროს" წევრობისთვის და „ქურდული სამყაროს" საქმიანობის მხარდაჭერისათვის. დამატებით სასჯელად ქონების ჩამორთმევა არ გამოყენებულა.[79]

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 02 მაისის განაჩენით, გ.ზ და სხვები გასამართლდნენ „ქურდული სამყაროს" წევრობისთვის, „ქურდული სამყაროს" საქმიანობის მხარდაჭერისა და „ქურდული სამყაროს" წევრისთვის / „კანონიერი ქურდისთვის" მიმართვისათვის. დამატებით სასჯელად ქონების ჩამორთმევა არ გამოყენებულა.[80]

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 21 ივნისის განაჩენით, ნ. ჯ. და სხვები გასამართლდნენ ძალადობისთვის, „ქურდული სამყაროს" წევრობისა და „ქურდული სამყაროს" საქმიანობის მხარდაჭერისათვის. დამატებით სასჯელად ქონების ჩამორთმევა არ გამოყენებულა.[81]

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 25 ივლისის განაჩენით, კ. ჩ. და სხვები გასამართლდნენ „ქურდული სამყაროს" წევრობისათვის. დამატებით სასჯელად ქონების ჩამორთმევა არ გამოყენებულა.[82]

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 17 ოქტომბრის განაჩენით, კ. ვ. და სხვები გასამართლდნენ „ქურდული სამყაროს" საქმიანობის მხარდაჭერისა და „ქურდული სამყაროს" წევრისთვის / „კანონიერი ქურდისთვის" მიმართვისათვის. დამატებით სასჯელად ქონების ჩამორთმევა არ გამოყენებულა.[83]

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 19 ოქტომბრის განაჩენით, ა. შ. და სხვები გასამართლდნენ „ქურდული სამყაროს" წევრობისთვის, „ქურდული სამყაროს" საქმიანობის მხარდაჭერისა და „ქურდული სამყაროს" წევრისთვის / „კანონიერი ქურდისთვის" მიმართვისათვის. დამატებით სასჯელად ქონების ჩამორთმევა არ გამოყენებულა.[84]

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 10 ნოემბრის განაჩენით, დ. ჭ. და სხვები გასამართლდნენ „ქურდული სამყაროს" საქმიანობის მხარდაჭერისა და „ქურდული სამყაროს" წევრისთვის / „კანონიერი ქურდისთვის" მიმართვისათვის. დამატებით სასჯელად ქონების ჩამორთმევა არ გამოყენებულა.[85]

თელავის რაიონული სასამართლოს 2023 წლის 14 ნოემბრის განაჩენით, ბ. ძ. გასამართლდა „ქურდული სამყაროს" საქმიანობის მხარდაჭერის, ცეცხლსასროლი იარაღისა და ნარ-

[77] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 14 მარტის №1/4212-22 განაჩენი.
[78] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 30 მარტის №1/7177-22 განაჩენი.
[79] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 05 აპრილის №1/4583-22 განაჩენი.
[80] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 02 მაისის №1/4977-22 განაჩენი.
[81] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 21 ივნისის №1/6282-22 განაჩენი.
[82] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 25 ივლისის №1/7178-22 განაჩენი.
[83] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 17 ოქტომბრის №1/4731-23 განაჩენი.
[84] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 19 ოქტომბრის №1/4242-23 განაჩენი.
[85] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 10 ნოემბრის №1/5861-23 განაჩენი.

კოტიკული საშუალების შეძენა-შენახვისათვის. დამატებით სასჯელად ჩამოერთვა ცეცხ-ლსასროლი იარაღი.[86]

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 20 ნოემბრის განაჩენით, მ. გ. და სხვები გასამართლდნენ „ქურდული სამყაროს“ წევრობისა და „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდაჭერისათვის. დამატებით სასჯელად ქონების ჩამორთმევა არ გამოყენებულა.[87]

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 16 თებერვლის განაჩენით, ჯ. კ. (დაუს-წრებლად) და სხვები გასამართლდნენ „კანონიერი ქურდობისათვის“, „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდაჭერისა და „ქურდული სამყაროს“ წევრისთვის / „კანონიერი ქურდის-თვის“ მიმართვისათვის. დამატებით სასჯელად ქონების ჩამორთმევა არ გამოყენებულა.[88]

„საქართველოს სამართალდამცავი უწყებების პროაქტიური და ეფექტიანი საქმიანობის შედეგად „კანონიერი ქურდების“ აბსოლუტური უმრავლესობა ქვეყნის ფარგლებს გარეთ იმ-ყოფება.“[89]

სასამართლო პრაქტიკა აჩვენებს, რომ „კანონიერ ქურდებს“ სისტემატური კავშირი აქვთ საქართველოსთან და სასამართლო მათ, იქ, სადაც ბრალდების მხარე ახერხებს შესაბა-მისი სტანდარტით მტკიცებულებების წარდგენას, დაუსწრებლად ასამართლებს „კანონიერი ქურდობისათვის“, რის შესაძლებლობასაც აადვილებს სისხლის სამართლის კოდექსში 2018 წელს შეტანილი ცვლილებები, – „საქართველოს მოქალაქეს და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირს, რომლებმაც საზღვარგარეთ ჩაიდინეს ამ კოდექსის 223 [1], 223[2], 223[3], 223[4] მუხლით გათვალისწინებული ისეთი ქმედება, რომელიც დანაშაულად არ ითვლება იმ სახელმწიფოს კანონმდებლობით, სადაც ის ჩადენილია, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრებათ ამ კოდექსით.“[90]

ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით, ქურდული სამყაროს“, „ქურდული სამყაროს“ წევრის/ „კანონიერი ქურდის“ საქმიანობა მიზ-ნად ისახავს დანაშაულის ჩადენით, დანაშაულის ჩადენისკენ წაქეზებით, საკუთარი კრიმინა-ლური გავლენის გამოყენებით ან სხვა უკანონო ქმედებით, თავისთვის ან სხვისთვის სარგებ-ლის ან უპირატესობის მიღებას, ძალაუფლების ან/და გავლენის მოპოვება/მინიჭებას.

სასამართლო პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ 2018 წლის ცვლილებები, სასამარ-თლოში საქმის განხილვისას, იძლევა პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებ-ლობის ინდივიდუალურად დაწესების მეტ შესაძლებლობას, მსგავსი ტიპის საქმეებზე მტკი-ცებულებების შეგროვების სირთულის მხედველობაში მიღებით. არაერთ შემთხვევაში, საქმის არსებითი განხილვისას დადგენილი გარემოებების შედეგად, სასამართლოს მხრიდან ადგილი აქვს კვალიფიკაციის იმგვარად შეცვლას, რომ პირს ეკისრება ჩადენილი ქმედების შესაბამისი ადეკვატური პასუხისმგებლობა.

სასამართლო პრაქტიკა აგრეთვე აჩვენებს, რომ „კანონიერი ქურდების“, „ქურდული სამყაროს“ წევრების, ასევე „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდამჭერთა მოტივაცია, საზოგადოების ფართო მასებზე გავლენის მოპოვებისა და შენარჩუნების მიზნით, მათზე უკა-

---

[86] თელავის რაიონული სასამართლოს 2023 წლის 14 ნოემბრის №1/164-23 განაჩენი.

[87] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 20 ნოემბრის №1/2540-23 განაჩენი.

[88] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 22 ნოემბრის №1/2046-23 განაჩენი.

[89] ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის 2021-2024 წწ. ეროვნული სტრატეგია, 17, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5256554?publication=0> [03.06.2025].

[90] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-5 მუხლი, <https://matsne.gov.ge/document/view/16426?publication=264>[03.06.2025].

ნონო ეკონომიკური ხასიათის ზემოქმედებაა, რაც ემსახურება ე.წ. „ქურდული საერთოს“ შეგროვებას.

ამდენად, აუცილებელია საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება და ძირითადი ყურადღების გამახვილება დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავლის-/ქონების მოძიებასა და მის შემდგომ კონფისკაციაზე.

7. ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის ზოგადი დახასიათება

„ყოველი სახელმწიფო თვითონ განსაზღვრავს დანაშაულის სახეებსა და მასთან ბრძოლის საშუალებებს, მაგრამ ზოგიერთი დანაშაული თავისი არსით სცილდება ერთი სახელმწიფოს საზღვრებს და საერთაშორისო საზოგადოებრიობის ყურადღებას იპყრობს.“[91]

„მრავალი ეროვნული და საერთაშორისო ინსტრუმენტი, განსაკუთრებით, გაერთიანებული ერების კონვენცია ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ (UNCTOC), აჩვენებს, რომ ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაული გადაიქცა იურიდიულ მოცემულობად.“[92]

ორგანიზებული დანაშაულის წარმოშობა და განვითარების სქემა, მისი კრიმინალური შინაარსი თუ არ იქნება მხედველობაში მიღებული, შეიძლება შედარდეს მეწარმეობით საქმიანობასთან, ყველა მისთვის დამახასიათებელი ძირითადი კანონზომიერებითა და ნიშნებით:

1. კაპიტალბრუნვის გაფართოებისა და ახალი ბაზრების დაპყრობის ტენდენცია;
2. საქმიანობის ის სფეროები, რომლებიც ორგანიზებულ დანაშაულთა მესვეურებს დიდ შემოსავალს უქადის, უმრავლეს შემთხვევაში არ ეტევა ერთი ეროვნული სახელმწიფოს საზღვრებში და სულ უფრო მეტად ღებულობს ტრანსნაციონალურ ხასიათს. ვაჭრობის ობიექტად შეიძლება გახდეს ყველაფერი, ადამიანების და ადამიანთა ორგანოებიდან მოყოლებული, ბირთვული, ატომური მასალების და მომწამვლელი შხამიანი ინდუსტრიული ნარჩენებით დამთავრებული.[93]

თანამედროვე ტექნოლოგიებმა საოცარი ბიძგი მისცა დანაშაულებრივ ბიზნესსაც. გაადვილდა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მოთხოვნილებათა და შესაძლებლობათა (წინადადებათა) შესახებ ინფორმაციის მოპოვება. კიბერტექნოლოგიების გამოყენებამ თითქმის უსაზღვროდ გაზარდა ორგანიზებული დანაშაულობის ჩარჩოები და შესაძლებელი გახადა, მსოფლიო მასშტაბით, მათი შემოსავლების ასტრონომიული ზრდა. ასევე, ნარკო და კიბერდანაშაულები, ფულის გათეთრება და სახელისუფლო სისტემების კორუმპირების გზით წარმოებული უზარმაზარი სამშენებლო პროექტები საზოგადოების და სახელმწიფოს ინტერესების ხელყოფის ხარჯზე.[94]

სწორედ ამ გლობალურ საფრთხეზე ამახვილებდა ყურადღებას 90-იანი წლების დასაწყისში ცნობილი იტალიელი მოსამართლე ფალკონე თავის წიგნში „ორგანიზებული დანაშაული

---

[91] *ალექსიძე ლ.,* თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბ. 2001, 228.

[92] *Hauck P., Peterke S.,* Organized Crime and Gang Violence in National and International Law, 92 Int'l Rev. Red. Cross, 2010, 408.

[93] *Ciklauri-Lammich E.,* The Problem of Crime Between Late Migrants From ISC in Germany, Georgian Lawyers, Tiflis 2001, 45-51.

[94] *Ciklauri-Lammich E.,* Kapitel 2 Abschnitt 2. Der Kampf gegen die Korruption in den europäischen Ländern in der Monographie: Die Korruption in Georgien: Kriminologische Analysen und Kommentare der gerichtlichen Praxis , Hrsg. TSU & Tsereteli Inst., Tiflis 2010, 50-76.

– როგორც მსოფლიო პრობლემა. იტალიური მაფია, როგორც მაგალითი მსოფლიო ორგანიზებული დანაშაულისათვის“ (Falcone, Organisiente Kriminalitat-ein Weltproblem. Die Italienische Mafia als; Vorbild fur das internazional organizierte Verbechen in Bundeskmininalamt), სადაც ავტორი თხოვნით მიმართავდა და აფრთხილებდა ფართო საზოგადოებრიობას, განსაკუთრებით სამართალდამცავ ორგანოებს, ყურადღება მიექციათ ამ საშიში დანაშაულისათვის და ერთობლივი ბრძოლა გამოეცხადებინათ მისთვის, როგორც საყოველთაოდ საშიში მოვლენისათვის. ფალკონეს ქადაგება წინასწარმეტყველური გამოდგა. ამ საშიშმა მოვლენამ დროთა განმავლობაში, ფართოდ მოიკიდა ფეხი ევროპის სხვა ქვეყნებშიც, როგორიცაა შვეიცარია, გერმანია, საფრანგეთი, ნიდერლანდები და სხვა. ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას იტალიაში შეეწირა იუსტიციის ასეულობით მუშაკის სიცოცხლე. ამიტომაც იყო, რომ 1992 წლის სექტემბერში, ქ. ბრიუსელში, იტალიის შინაგან საქმეთა მინისტრმა და მისმა კოლეგებმა დახმარება სთხოვეს ევროპისა და მსოფლიო სამართალდამცავ ორგანოებს ორგანიზებულ დანაშაულებთან ბრძოლაში.[95]

2017 წლის მონაცემებით, ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულიდან მიღებული შემოსავალი წლიურად 1.6-დან 2.2 ტრილიონ აშშ დოლარამდე მერყეობდა.[96]

ასევე, ცალკე შესწავლის საგანი უნდა გახდეს, როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივი ინსტრუმენტების იმპლემენტაციის ხარისხი და პრაქტიკული სარგებლიანობა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ორგანიზებული დანაშაული ერთგვარი კრიმინალური ინდუსტრიაა[97], ხოლო ორგანიზებულობა, როგორც მართვის ხერხი წარმოების ნებისმიერ სფეროში, ინტენსიფიკაციასა და ნაკლები დანახარჯებით მოგებათა მაქსიმალურ გაზრდას ემსახურება, რაც წარმოადგენს ამა თუ იმ მოვლენის პროგრესისა და ზრდის აუცილებელ პირობას. ყველა ერის წარსულში, ოფიციალური ხელისუფლების პარალელურად, არსებობდნენ ძალები, ჯგუფების სახით, რომლებიც ცდილობდნენ კრიმინალური გზებით დაუფლებოდნენ დიდი რაოდენობით ქონებას და მოეხდინათ გავლენა ოფიციალურ ხელისუფლებაზე.

„ორგანიზებული დანაშაული სარგებლობს სამართლებრივი ხარვეზებით, ასევე ცალკეულ შემთხვევებში სამართალდამცავ უწყებებს უჭირთ სწრაფი რეაგირება კრიმინალურ ბიზნესებზე, ვინაიდან დახვეწილი და განახლებადი მეთოდოლოგია, რასაც იყენებს კრიმინალური სამყარო, ართულებს მათი დანაშაულებრივი საქმიანობისა და შემოსავლების გამოვლენას. ასევე, ისინი კარგად სარგებლობენ იმ უპირატესობით, რაც დაკავშირებულია გლობალიზაციასა და თანამედროვე ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან“.[98]

ევროპის კავშირის მძიმე და ორგანიზებულ დანაშაულთა საფრთხეების შეფასების ანგარიშის მიხედვით (2021 EU COCTA), მძიმე და ორგანიზებული დანაშაულები ევროკავშირის უსაფრთხოებისათვის საკვანძო პრობლემას წარმოადგენს. ორგანიზებულ დანაშაულს გააჩნია ქსელური ხასიათი, სადაც კრიმინალებს შორის თანამშრომლობა არის მიმდინარე, სისტემური და ორიენტირებული მოგების მიღებაზე.[99]

---

[95] Pressnachvit Interior Iustic Ministers Meeting, Brussel, 18 September, 1992.

[96] Global Financial Integrity About Transnational Organized Crime <https://gfintegrity.org/issue/transnational-crime> [03.06.2025].

[97] “Crime Industry”, *Ciklauri-Lammich E., Paoli L.,* Bekämpfung des ungesetzlichen Umsatzes und Konsums von Drogen auf dem Gebiet der russischen Föderation, in Prawo i Politika, St. Petersburg 2002, 29-34.

[98] White Paper on Transnational Organized Crime (2015), 7, <https://edoc.coe.int/en/organised-crime/6837-white-paper-on-transnational-organised-crime.html> [03.06.2025].

[99] EU SOCTA 2021 – Serious and Organized Crime Assessment Report, <https://www.europol.europa.eu/cms/sites/default/files/documents/socta2021_1.pdf> [03.06.2025].

ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანი, მის მაღალ შემოსავლიანობაშია, რაც ყოველწლიურად კრიმინალურ სამყაროს სტაბილურად დამატებითი ეკონომიკური რესურსებით უზრუნველყოფს. ამ მოვლენის ამორფულობა და მისთვის კონკრეტული სისხლისსამართლებრივი კატეგორიის ჩარჩოებში ჩასმის სირთულე, რაც რა თქმა უნდა, არ არის საკმარისი საფუძველი იმისათვის, რომ ამ მოვლენას არ ვებრძოლოთ სისხლის სამართლის რეპრესიული საშუალებებით, პირიქით, საერთაშორისო ორგანიზაციების ყოველ ახალ დასკვნაში ხაზგასმულია ორგანიზებული დანაშაულის მზარდი საშიშროება, რაც სხვათა შორის იმაშიც გამოიხატება, რომ იგი წლითიწლობით სულ უფრო მეტად იჭრება ლეგალური ბიზნესის სფეროში და იპყრობს მას.[100] სწორედ ასე განიმარტება ორგანიზებული დანაშაულის შინაარსი.

„საწარმოს თეორია (Smith 1975) ამტკიცებს, რომ ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფები (შემდგომში ოდჯ) ძირითადად არიან უკანონო ან მკაცრ რეგულირებას დაქვემდებარებული საქონლისა და მომსახურების მიმწოდებლები (მაგ. ნარკოტიკები, ცეცხლსასროლი იარაღი, თამბაქოს ნაწარმი, აზარტული თამაშები). აღნიშნული თეორიის ფართოდ გავრცელების შემდეგ, მრავალმა კვლევამ შეისწავლა ოდჯ-ების ჩართულობა უკანონო ბაზრებში (Reuter 1985; Paoli 2002; Bouchard and Wilkins 2010; Transcrime 2013; Calderoni 2014). გარდა ოდჯ-ების როლისა, როგორც არარეგულარული საქონლის მომწოდებლებისა, ზოგიერთმა კვლევამ ასევე აღიარა მათი ჩართულობა ლეგალურ ბაზრებშიც (Cressey 1969; Catanzaro 1988; Ianni and Reuss-Ianni 1993; Arlacchi 2007)“.[101]

8. ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის ძირითადი სფეროები თანამედროვე პერიოდში

„საერთაშორისო ორგანიზებული დანაშაული წარმოადგენს საფრთხეს მსოფლიო წესრიგისთვის და ამ გაგებით ის არის ანალოგი იმ აგრესიული ქმედებებისა, რაც არის ტრადიციულად საერთაშორისო ორგანიზაციების განსჯის საგანი, როგორიცაა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. საერთაშორისო ორგანიზებული დანაშაული არის თავდასხმა ქვეყნის სუვერენული დამოუკიდებლობის სამ საყრდენზე, – სასაზღვრო კონტროლზე, მონოპოლიაზე, მიზნის აღსრულებისათვის მიმართო ძალადობას, უფლებამოსილებაზე დაბეგრო ეკონომიკური ოპერაციები სახელმწიფო საზღვრებს შორის. საერთაშორისო კრიმინალური ორგანიზაციები ქმნიან ლეგიტიმური სახელმწიფო ხელისუფლების ალტერნატივას, რითაც ძირს უთხრიან სტაბილურობასა და სახელმწიფოებრივ წესრიგს.“[102]

გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის ორგანიზაციის მიხედვით, „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაული, – ეს არის დაფარული ფასი, რომელსაც იხდის საზოგადოება.

ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაული პრაქტიკულად მოიცავს ეკონომიკურად მოტივირებულ ყველა მძიმე დანაშაულებრივ ქმედებას, სადაც ჩართულია ერთზე მეტი ქვეყანა და გააჩნია საერთაშორისო ხასიათი. ესაა ქმედებები, რომლებიც შეიძლება დაკვალი-

[100] Internazionale Organisierte Kriminalitat (Hrsg. Prof. Dr. Ulrich Sieber. Carl Heymanss Verlag KG), Koln. Berlin. Bonn. Munchen, 1996, 6-8.

[101] *Dugato M., Favarin S., Giommoni L.,* Risks and Rewards of Organized Crime Investments in Real Estate, 55 Brit. J.Criminology, 2015, 944 [03.06.2025].

[102] *Guymon C.,* International Legal Mechanisms for Combating Transnational Organized Crime: The Need for a Multilateral Convention, 18 Berkley J. Int'l, 2000, 61-62.

ფიცირდეს, როგორც ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაული, როგორიცაა ნარკოტიკული დანაშაული, მიგრანტების უკანონო გადაყვანა, ადამიანებით ვაჭრობა, ფულის გათეთრება, იარაღით უკანონო ვაჭრობა, კონტრაფაქციული პროდუქციით ვაჭრობა, ველურ ბუნებასთან, კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული დანაშაულები, ასევე ცალკეული კიბერდანაშაულები.

ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაული არის არა სტატიკური, არამედ მზარდი ინდუსტრია, რაც იპყრობს ახალ ბაზრებს და დანაშაული იღებს სულ უფრო ახალ ფორმებს. ეს არის უკანონო ბიზნესი, რომელიც არღვევს კულტურულ, სოციალურ, ენობრივ, გეოგრაფიულ ჩარჩოებს და არ ცნობს საზღვრებს ან წესებს.

ნარკოტიკული დანაშაული რჩება ერთ-ერთ შემოსავლიან ბიზნესად კრიმინალებისათვის, – 320 მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების წლიური შემოსავლით. არანაკლებ მომგებიანი სფეროა ადამიანებითა და არასრულწლოვნებით ვაჭრობა, წლიური შემოსავლით – 32 მილიარდი აშშ დოლარი.

იარაღით უკანონო ვაჭრობის შედეგად მიღებული შემოსავალი წლიურად 170 მილიონიდან 320 მილიონამდე აშშ დოლარს უტოლდება.

კიბერდანაშაულის ჩადენის შედეგად მიღებული შემოსავალი, რაც დაკავშირებულია პერსონალური ინფორმაციის ქურდობასთან, 1 მილიარდი აშშ დოლარის ფარგლებში მერყეობს“.[103]

„ორგანიზებული დანაშაულის ყველაზე მძიმე ფორმებს გააჩნია ტრანსნაციონალური განზომილება რამდენიმე გარემოების გამო, კერძოდ, დანაშაული ჩადენილია სხვადასხვა ქვეყანაში, ან დამნაშავეებს გააჩნიათ საერთაშორისო კავშირები და მხარდაჭერა ან დანაშაულის შედეგად მიღებული შემოსავლის ლეგალიზაცია ხორციელდება სხვადასხვა ქვეყნებში; უცხოურ კომპანიებში ან უძრავ ქონებაში ან ფისკალურ ოაზისებში ინვესტირებით.“[104]

„ორგანიზებულ დანაშაულში ჩართული პირები, მოქმედებენ რა მოგების მიღების მოტივაციით, სჩადიან შეთანხმებულ ან ძალადობრივ დანაშაულებს, რაც განპირობებულია იმით, თუ რომელი არის ფინანსური სარგებლის მიღების უფრო ეფექტური საშუალება“.[105]

„ორგანიზებული დანაშაული ცალსახად ეროვნული პრობლემა იყო წარსულში, თუმცა დღეს ის არის გლობალიზაციის ერთ-ერთი ბნელი მხარე. ის გაცდა გეოგრაფიულ საზღვრებს, გახდა კონტინენტური, იყენებს რა ღია საზღვრების პოლიტიკას და თანამედროვე ტექნოლოგიებს. უკანონო შემოსავალი უტოლდება გლობალურ აქტივობებს.“[106]

„დივერსიფიცირებული გლობალური უკანონო ეკონომიკა მოიცავს სხვადასხვა სპექტრის უკანონო საქმიანობას, მათ შორის , – იარაღით უკანონო ვაჭრობას, ადამიანებით ვაჭრობას (ტრეფიკინგს), მოპარული ხელოვნების ნიმუშების საზღვარზე უკანონოდ გადატანას (კონტრაბანდა), გადაშენების პირას მყოფი ცხოველთა სახეობებით უკანონო ვაჭრობას, ფუ-

[103] UNODC About Transnational Organized Crime <https://www.unodc.org/toc/en/crimes/organized-crime.html> [03.06.2025].

[104] White Paper on Transnational Organized Crime, 2015, 12, <https://edoc.coe.int/en/organised-crime/6837-white-paper-on-transnational-organised-crime.html> [03.06.2025].

[105] *Bassiouni M.,* Effective National and International Action Against Organized Crime and Terrorist Criminal Activities, 4 Emory Int'l Rev., 1990, 12.

[106] *Ciopec F.,* Compatibility of Romaninan legislation with the UN convention against transnational organized crime, 39 Zbornik Radova, 2005, 213.

ლის გათეთრებას, შედარებით ახალს, – კიბერდანაშაულებს. ამ კარგად ცნობილ აქტივობებს ემატება ტრადიციული – პროსტიტუცია, გამოძალვა და რეკეტი.“[107]

„ევროპოლის დირექტორის ინფორმაციით, ევროკავშირი სულ უფრო მოწყვლადი ხდება ორგანიზებული დანაშაულისადმი, რაც უდიდეს საფრთხეს უქმნის უმრავლესი ქვეყნების უსაფრთხოებას. დამნაშავეები მთელი მსოფლიოდან ირჩევენ ევროპას უკანონო ოპერაციების განსახორციელებლად. ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფები კარგად იყენებენ იმ უპირატესობას, რაც დაკავშირებულია საქონლის, მუშახელის და მომსახურების თავისუფალ გადაადგილებასთან, რაც შესაძლებელი გახდა ევროკავშირის ხელშეკრულებით. დანაშაულებრივი საქმიანობები მოიცავს ფულის გათეთრებას, ნარკოტიკულ დანაშაულს, ეკონომიკურ დანაშაულებს და ადამიანებით ვაჭრობას. დანაშაულებრივი ჯგუფები არიან მოქნილები ელასტიურები, ქმნიან კავშირებს ევროკავშირის შიგნით და მის გარეთ და გავლენას ახდენენ სამართალდამცავი და სასამართლო სისტემის მუშაობაზე.“[108]

ევროკავშირის მასშტაბით, დანაშაულებრივი შემოსავალი, ცხრა ძირითადი კრიმინალური ბაზრიდან, 2019 წელს, 139 მილიარდ დოლარს აღწევდა, რაც ევროკავშირის მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით 0.1 % უტოლდებოდა.[109]

საუბარია ნარკოტიკულ დანაშაულზე, მიგრანტების უკანონო გადაყვანაზე, ადამიანებით ვაჭრობაზე, თაღლითობაზე, გარემოს წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე, იარაღით უკანონო ვაჭრობაზე, თამბაქოს ნაწარმით უკანონო ვაჭრობაზე, კიბერდანაშაულსა და საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ ორგანიზებულ დანაშაულებზე.[110]

„თანამედროვე ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაული კარგად სარგებლობს გლობალიზაციით, თავისუფალი ვაჭრობით და იყენებს ახალ ტექნოლოგიებს სხვადასხვა ახალი ტიპის დანაშაულებისა და ნაღდი ფულის, მომსახურებების, ადამიანების გადასაადგილებლად. ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფები ცხოვრობენ მსოფლიოში საზღვრების გარეშე. მზარდია ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების მხრიდან დანაშაულების, დანაშაულებრივი ბაზრებისა და ქსელების დივერსიფიკაცია.“[111]

გლობალური ორგანიზებული დანაშაულის ინდექსის მიხედვით (2023 წელი), ანალიზი ცხადყოფს, რომ ორგანიზებული დანაშაულებრივი ბაზრები იზრდება და მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება. კრიმინალური ბაზრებიდან (ადამიანებით ვაჭრობა, მიგრანტების უკანონო გადაყვანა, გამოძალვა და რეკეტი, იარაღით უკანონო ვაჭრობა, კონტრაფაქციული პროდუქციით ვაჭრობა, უაქციზო ნაწარმით ვაჭრობა, გარემოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, არაგანახლებადი რესურსებით ვაჭრობა, ნარკოტიკული დანაშაული, კიბერდანაშაული და ფინანსური დანაშაულები), ერთ-ერთი ახალი ფინანსური დანაშაულები, აღმოჩნდა ყველაზე გავრცელებული. ფინანსური დანაშაული შეფასდა ყველაზე გავრცელებულ დანაშაუ-

---

[107] *Shelley, L.,* Transnational Organized Crime and Seized Assets: Moral Dilemmas Concerning the Disposition of the Fruits of Crime, 7 Maastricht J. Eur. & Comp. L., 2000, 38.

[108] *Brazier M. L.,* The European Unions's Hot Pursuit of Organized Crime Groups, 7 New Eng. Int'l & Comp. L. Ann., 2001, 262.

[109] The EU Strategy to Tackle Organised Crime 2021-2025 <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A52021DC0170&qid=1632306192409> [03.06.2025].

[110] Maping the Risk of Serious and Organized Crime Infiltrating Legitimate Businesses, <https://op.europa.eu/en/publication-detail/-/publication/ab3534a2-87a0-11eb-ac4c-01aa75ed71a1/language-en> [03.06.2025].

[111] *Zagaris B.,* U.S. International Cooperation Against Transnational Organized Crime, 44 Wayne L. Rev., 1998, 1402.

ლებრივ საქმიანობად ყველა კონტინენტზე, გარდა ამერიკისა, სადაც ის შედის ხუთ ყველაზე წამყვან დანაშაულში. [112]

„ორგანიზებული ეკონომიკური დანაშაული უგულვებელყოფს სახელმწიფოს ერთ-ერთ ძირითად უფლებამოსილებას გადასახადებზე. დანაშაულებრივი ჯგუფების მიერ კრიმინალური ფულის შენარჩუნება, ანაცვლებს გადასახადებს, ზრდის ჩრდილოვან კრიმინალურ ინდუსტრიას, რაც საზოგადოებაში უფრო მეტ პატივისცემას იმსახურებს, ვიდრე სახელმწიფო. ფულის გათეთრება ორგანიზებულ დამნაშავეებს აძლევს შესაძლებლობას, მოახდინონ უკანონო საქმიანობიდან მიღებული დანაშაულებრივი შემოსავლის ლეგიტიმურ ბიზნესში ინვესტირება, რაც ზრდის ორგანიზებული დანაშაულის დამანგრეველ ხასიათს. მხოლოდ ნარკორეალიზატორები ყოველწლიურად ათეთრებენ დაახლოებით 250 მილიარდს. ამ სფეროში, ინტერნაციონალიზაციამ და ფინანსურ ბაზრებზე ელექტრონულმა წვდომამ შესაძლებელი გახადა დანაშაულებრივად ამ შესაძლებლობის გამოყენება და ფული გადაიქცა ყველაზე მარტივ კონვერტირებად პროდუქტად. ის შეიძლება გადაეცეს წამიერად. მან შესაძლოა შეიცვალოს წარმომავლობა და მისი მოძიება მხოლოდ უდიდესი ძალისხმევის შედეგად იქნება შესაძლებელი.“[113]

„ეს ნიშნავს, რომ ორგანიზებული დანაშაული მოითხოვს ინკლუზიურ საპასუხო ნაბიჯებს, თანაბრად, როგორც დანაშაულის მამოძრავებელ ფაქტორებზე, ისე მის აქტივატორებზე, რაც ერთად უქმნის მყარ საფუძველს გლობალურ კრიმინალურ ეკონომიკას. აუცილებლად უნდა იქნას აღიარებული ორგანიზებული დანაშაულის ტრანსნაციონალური ბუნება და გაძლიერებული საერთაშორისო თანამშრომლობის აუცილებლობა, რაც მოცემულია ორგანიზებული დანაშაულის შესახებ კონვენციაში, როგორც გამოსავალი.“[114]

9. ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულთან მებრძოლი ცალკეული საერთაშორისო და რეგიონალური ორგანიზაციები

ათწლეულების მანძილზე არაერთი საერთაშორისო თუ რეგიონალური ორგანიზაცია ებრძვის ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულს.

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ შეიქმნა საერთაშორისო საპოლიციო ორგანიზაცია (Interpol).

„თანამედროვე დანაშაული არის მზარდი, საერთაშორისო ხასიათის. ამდენად, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ იყოს კოორდინაცია ყველა იმ მოთამაშეს შორის, რომლებსაც ევალებათ გლობალური უსაფრთხოების არქიტექტურის შენარჩუნება. ინტერპოლი, როგორც გლობალური ორგანიზაცია, უზრუნველყოფს თანამშრომლობას იმ ქვეყნებს შორისაც, რომლებსაც ერთმანეთთან არ გააჩნიათ დიპლომატიური ურთიერთობა.“[115]

„ინტერპოლმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა საერთაშორისო სამართალდაცვითი თანამშრომლობა სამი მიმართულებით: 1. დააკავშირა ეროვნული ადგილობრივი საპოლიციო ძა-

[112] Global Organized Crime Index 2023, 51-52, <https://globalinitiative.net/wp-content/uploads/2023/09/Global-organized-crime-index-2023-web-compressed-compressed.pdf> [03.06.2025].

[113] *Guymon C.,* International Legal Mechanisms for Combating Transnational Organized Crime: The Need for a Multilateral Convention, 18 Berkley J. Int'l, 2000, 65.

[114] UNODC-Organized Crime Strategy Toolkit for Developing High-Impact Strategies, 1 <https://sherloc.unodc.org/cld/uploads/pdf/Strategies/OC_Strategy_Toolkit_Ebook.pdf> [03.06.2025].

[115] Interpol <https://www.interpol.int/en/Who-we-are/What-is-INTERPOL> [03.06.2025].

ლები სანდო და სწრაფი ქსელით, 2. საერთაშორისო პროფესიული ასოციაციის მეშვეობით მხარეებს აწვდის ინფორმაციას სამართალდაცვით სფეროში ახალ მეთოდებზე და 3. ზრდის ჰარმონიზაციის ხარისხს მსოფლიო მასშტაბით სამართალდამცავ ორგანოებს შორის."[116]

„ევროპელები წლების განმავლობაში განიხილავდნენ ერთიანი საპოლიციო და საპროკურორო სისტემის შექმნის საკითხს"[117] ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურობის გაზრდის მიზნით.

1992 წელს შეიქმნა ევროპოლი (Europol), ხოლო მოგვიანებით 1999 წელს შეიქმნა ევროჯასტი (Eurojust).

„ევროპოლი ეხმარება წევრ სახელმწიფოებს სხვადასხვა გზით, – ის ხელს უწყობს ინფორმაციის გაცვლას ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად ევროპოლის მეკავშირე ოფიცრებს შორის (ELOs), რომლებიც წარმოადგენენ შესაბამის ეროვნულ სამართალდამცავ უწყებებს. ევროპოლი ამზადებს ოპერატიულ ანალიზსა და სტრატეგიულ ანგარიშებს წევრი სახელმწიფოების მიერ მოწოდებული ოპერატიული და სადაზვერვო ინფორმაციის საფუძველზე. დამატებით, საჭიროებისამებრ, ევროპოლი უზრუნველყოფს ტექნიკურ და ექსპერტულ დახმარებას ცალკეული სახელმწიფოების მიერ განხორციელებული ოპერატიული და საგამოძიებო პროცესის მიმდინარეობისას. ასევე, ევროპოლი თავისი ანალიზებით ხელს უწყობს ცნობიერების ამაღლებას და საგამოძიებო ტექნიკების ჰარმონიზაციის აუცილებლობას ორგანიზებულ დანაშაულთან მიმართებით ევროკავშირის მასშტაბით."[118]

„ევროპის საბჭო, 1999 წლის ოქტომბერში, ფინეთის ქალაქ ტამპერეში გამართულ შეხვედრაზე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ უნდა შეიქმნას ევროჯასტი მძიმე, ორგანიზებულ და ტრანსსასაზღვრო დანაშაულთან საბრძოლველად. ეროვნული მთავრობების შესაბამისი კომპეტენციის მქონე პროკურორები, მაგისტრი მოსამართლეები ან პოლიციის მუშაკები, რომლებიც წარმოდგენილნი არიან წევრი სახელმწიფოების მხრიდან, ქმნიან ევროჯასტს. ეროვნული მთავრობები თავად წყვეტენ თუ რა სახის და მოცულობის მანდატს მიანიჭებენ თავიანთ წარმომადგენლებს. ევროჯასტის შესახებ კონვენციის მიზანია, კომპეტენტურ უწყებებს შორის ურთიერთთანამშრომლობის ინსტრუმენტების გააქტიურება დამატებითი სამართლებრივი მექანიზმების მეშვეობით. კონვენციის მიხედვით, ევროპოლმა უნდა დაამყაროს მჭიდრო თანამშრომლობა ევროჯასტის შესაბამის დანაყოფებთან და სთხოვოს მათ დახმარება და სამართლებრივი კონსულტაცია. ევროპოლმა უნდა მიაწოდოს ინფორმაცია ევროჯასტს ყველა იმ გამოძიების და დევნის შესახებ, სადაც მონაწილეობს ერთზე მეტი წევრი სახელმწიფო. ევროჯასტი წამყვანი როლის ფუნქციით იმ ტიპის დანაშაულების გამოძიებათა და დევნაზე ახორციელებს კონტროლს, როგორიცაა ადამიანებით ვაჭრობა (ტრეფიკინგი), ტერორისტული საქმიანობა, ყალბი ფულის დამზადება, ასევე იმ საქმეებზე, სადაც არის ევროკავშირის ეკონომიკური და ფინანსური ინტერესი, დანაშაულის შედეგად მიღებული შემოსავლის ლეგალიზაცია (ფულის გათეთრება) და კომპიუტერული დანაშაულები".[119]

---

[116] *Guymon C.,* International Legal Mechanisms for Combating Transnational Organized Crime: The Need for a Multilateral Convention, 18 Berkley J. Int'l, 2000, 73.

[117] იქვე.

[118] *Brazier M. L.,* The European Unions's Hot Pursuit of Organized Crime Groups, 7 New Eng. Int'l & Comp. L. Ann., 2001, 263.

[119] *Brazier M. L.,* The European Unions`s hot pursuit of organized crime groups, 7 New Eng. Int'l & Comp. L. Ann., 2001, 264-265.

„2019 წლიდან ძალაში შევიდა თანამშრომლობის შეთანხმება საქართველოსა და EUROJUST-ს შორის. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო აქტიურად იყენებდა EUROJUST-ის საერთაშორისო ფასილიტაციის შესაძლებლობებს, ჯერ კიდევ არ აუთვისებია ისეთი მომსახურებები, როგორიცაა ერთობლივი საგამოძიებო ჯგუფების ფარგლებში თანამშრომლობა და ექსპერტულ ფორუმებში მონაწილეობა.“[120]

10. ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის ქართული გამოცდილება

ორგანიზებულ ტრანსნაციონალურ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის წარმატება ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად იქნება შესაძლებელი სამართალდამცავმა ორგანოებმა, ეფექტური ბრძოლა აწარმოონ კანონმდებლობით განსაზღვრული ოპერატიულ-სამძებრო, საპროცესო და სხვა სამართლებრივ საშუალებათა საფუძველზე. ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმიანობის მთავარი მიზანია, მოგების მიღება და ამოღებული სიმდიდრის მაქსიმირება და ლეგალიზაცია.

„ტრანსნაციონალური და ორგანიზებული დანაშაულები განსაკუთრებულ საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ წესრიგსა და უსაფრთხოებას, როგორც ეროვნულ, ისე გლობალურ დონეზე,“ – ხაზგასმულია საქართველოს პროკურატურის 2022-2027 წწ. სტრატეგიაში.[121]

შეუძლებელია ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის სახეების ამომწურავად ჩამოთვლა, რამეთუ ის თავს იჩენს თითქმის ყველა სფეროში, სადაც მაღალ მოგებას შეესაძლოა ჰქონდეს ადგილი, რის შემდეგაც ადგილი აქვს ასეთი შემოსავლის უკანონო ლეგალიზაციას (ფულის გათეთრებას).[122]

ორგანიზებულ ტრანსნაციონალურ დანაშაულთან მიმართებით, ქართული გამოცდილებისა და მიყენებული ზიანის მასშტაბის შესასწავლად, გაანალიზდა საერთო სასამართლოების 2021-2023 წლების ტრანსნაციონალური ორგანიზებული ხასიათის მქონე დანაშაულებზე (მათ შორის ფულის გათეთრებაზე) არსებული პრაქტიკა (საერთო სასამართლოების მიერ გამოტანილი 46 გამამტყუნებელი განაჩენი)[123], საიდანაც შევეხებით იმ შემთხვევებს, რომლებსაც, მეტ-ნაკლებად, გააჩნიათ ტრანსნაციონალური ხასიათი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 23 აპრილის განაჩენით, ნ. კ. გასამართლდა თაღლითობისა და 17 900 ევროს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის. დამატებით სასჯელად ქონების ჩამორთმევა არ გამოყენებულა.[124]

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 11 მაისის განაჩენით, ფ. ო. კ. და სხვები გასამართლდნენ თაღლითობისა და 134 208 აშშ დოლარის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის. დამატებით სასჯელად ქონების ჩამორთმევა არ გამოყენებულა, თუმცა სასამარ-

[120] საქართველოს პროკურატურის 2022-2027 წწ. სტრატეგია, 38, <https://pog.gov.ge/uploads/7f5da215-saqarTvelos-prokuraturis-2022-2027-wlebis-strategia.pdf> [03.06.2025].

[121] საქართველოს პროკურატურის 2022-2027 წწ. სტრატეგია, 38, <https://pog.gov.ge/uploads/7f5da215-saqarTvelos-prokuraturis-2022-2027-wlebis-strategia.pdf> [03.06.2025].

[122] *ძნელაძე ლ.,* კონფისკაცია, როგორც ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის აუცილებელი სისხლისსამართლებრივი მექანიზმი, ჟურნ. „სამართლის ჟურნალი“, №2, 2024, 236-237.

[123] იქვე, 242.

[124] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 23 აპრილის №1/996-21 განაჩენი.

თლოს მხრიდან განხორციელდა დანაშაულებრივი გზით ქ. თბილისში 10 200 აშშ დოლარად შეძენილი 49.19 კვ. საცხოვრებელი ბინის საპროცესო კონფისკაცია.[125]

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 27 ივლისის განაჩენით, ფ. ო. კ. და სხვები გასამართლდნენ 619 839 ლარისა 669 აშშ დოლარის დაუსაბუთებელი შემოსავლის ლეგალიზაციისათვის. დამატებით სასჯელად ჩამოერთვათ უკანონო შემოსავლის შესანიღბად 168 000 აშშ დოლარად შეძენილი ძვირადღირებული შვიდი ავტომობილი.[126]

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 11 ოქტომბრის განაჩენით, გ. მ. და სხვები გასამართლდნენ თაღლითობისა და 700 300 ევროს და 40 802 აშშ დოლარის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის. დამატებით სასჯელად ჩამოერთვათ დანაშაულებრივი გზით შეძენილი სხვადასხვა ღირებულების უძრავ-მოძრავი ქონება.[127]

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 29 ოქტომბრის განაჩენით, თ. წ. და სხვები გასამართლდნენ თაღლითობისა და 48 900 ევროს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის. დამატებით სასჯელად თ. წ.-ს ჩამოერთვა დანაშაულებრივი გზით შეძენილი ავტომობილი.[128]

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 14 თებერვლის განაჩენით, მ. კ. და სხვები გასამართლდნენ თაღლითობისა 73 995 ევროს და 13 100 აშშ დოლარის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის. დამატებით სასჯელად ქონების ჩამორთმევა არ გამოყენებულა.[129]

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 16 მარტის განაჩენით, ნ. გ. გასამართლდა ქურდობისა და 41 212 ლარის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის. დამატებით სასჯელად ქონების ჩამორთმევა არ გამოყენებულა, თუმცა სასამართლოს მხრიდან განხორციელდა საბანკო ანგარიშებზე არსებული 2118,72 ლარისა და 277.90 აშშ დოლარის საპროცესო კონფისკაცია.[130]

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 25 მარტის განაჩენით, ფ. ნ. და სხვები გასამართლდნენ ცრუ მეწარმეობისა და 1 268 036.6 ლარის, 15 385 489.6 აშშ დოლარის, 20 786 875 ევროს, 3 030 შვეიცარული ფრანკის და 57 645 გირვანქა სტერლინგის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის. დამატებით სასჯელად ფ.ნ.-ს ჩამოერთვა დანაშაულებრივი გზით შეძენილი სხვადასხვა ძვირადღირებული უძრავ-მოძრავი ქონება.[131]

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 12 აპრილის განაჩენით, ჯ. ჰ. გასამართლდა თაღლითობისა და 119 941.54 ლარის, 467 341.31 ევროს და 1528 აშშ დოლარის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის. დამატებით სასჯელად ჯ.ჰ.-ს ჩამოერთვა დანაშაულებრივი გზით შეძენილი სხვადასხვა ძვირადღირებული ავტომობილი.[132]

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 04 მაისის განაჩენით, მ. ს. და რ. ო. გასამართლდნენ თაღლითობისა და 29 767.49 ლარის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის. დამატებით სასჯელად მ.ს.-ს ჩამოერთვა დანაშაულებრივი გზით მოპოვებული 7 700 ლარი.[133]

---

[125] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 11 მაისის №1/4697-20 განაჩენი.
[126] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 27 ივლისის №1/3434-21 განაჩენი.
[127] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 11 ოქტომბრის №1/4280-21 განაჩენი.
[128] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 29 ოქტომბრის №1/3934-21 განაჩენი.
[129] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 14 თებერვლის №1/3270-21 განაჩენი.
[130] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 16 მარტის №1/4855-19 განაჩენი.
[131] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 25 მარტის №1/3845-21 განაჩენი.
[132] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 12 აპრილის №1/2181-21 განაჩენი.
[133] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 04 მაისის №1/292-22 განაჩენი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 23 მაისის განაჩენით, ჯ. ა. გასამართლდა 5 201.2 ლარის, 63 065 825.49 ევროს და 88 132 376.82 აშშ დოლარის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის. დამატებით სასჯელად ჩამოერთვა დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ფულადი თანხა, – 37 685.52 ლარის, 153 467.48 ევროს და 7 831 116.04 აშშ დოლარის ოდენობით.[134]

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 31 მაისის განაჩენით, ნ. ა. და სხვები გასამართლდნენ თაღლითობის და 256 174 აშშ დოლარის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის. დამატებით სასჯელად ქონების ჩამორთმევა არ გამოყენებულა. ამოღებული თანხა 60 000 აშშ დოლარი და 29 450 ევრო დაუბრუნდა დაზარალებულებს.[135]

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 20 ივლისის განაჩენით, მ. გ. გასამართლდა 1 358222,36 ლარის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის. დამატებით სასჯელად მ.გ.-ს ჩამოერთვა დანაშაულებრივი გზით შეძენილი სხვადასხვა ძვირადღირებული ავტომობილი.[136]

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 08 სექტემბრის განაჩენით, ვ. ლ. გასამართლდა თაღლითობისა და 206 782.2 აშშ დოლარის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის. დამატებით სასჯელად ჩამოერთვა დანაშაულებრივი გზით შეძენილი სხვადასხვა ღირებულების უძრავ-მოძრავი ქონება.[137]

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 13 თებერვლის განაჩენით, ნ. ა. გასამართლდა თაღლითობისა და 4041.14 ევროს, 5 460 ლარის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის. დამატებით სასჯელად ქონების ჩამორთმევა არ გამოყენებულა.[138]

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 16 მარტის განაჩენით, მ. რ. გასამართლდა თაღლითობისა და 4 005 აშშ დოლარის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის. დამატებით სასჯელად ქონების ჩამორთმევა არ გამოყენებულა.[139]

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 12 ივნისის განაჩენით, ა. კ. და სხვები გასამართლდნენ თაღლითობისა და 314 173.45 ლარის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის. დამატებით სასჯელად ჩამოერთვათ დანაშაულებრივი გზით შეძენილი სხვადასხვა ძვირადღირებული ავტომობილი.[140]

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 26 ივნისის განაჩენით, შ. ჰ. გასამართლდა 3 610 434 აშშ დოლარის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის. დამატებით სასჯელად ჩამოერთვა დანაშაულებრივი გზით შეძენილი სხვადასხვა ღირებულების უძრავ-მოძრავი ქონება.[141]

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 11 ივლისის განაჩენით, მ. გ. გასამართლდა თაღლითობისა 12 500 აშშ დოლარის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის. დამატებით სასჯელად ქონების ჩამორთმევა არ გამოყენებულა.[142]

---

[134] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 23 მაისის №1/2638-22 განაჩენი.
[135] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 31 მაისის №1/1434-22 განაჩენი.
[136] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 20 ივლისის №1/1832-22 განაჩენი.
[137] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 08 სექტემბრის №1/3065-20 განაჩენი.
[138] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 13 თებერვლის №1/3423-22 განაჩენი.
[139] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 16 მარტის №1ბ/2124-22 განაჩენი.
[140] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 12 ივნისის №1/1579-23 განაჩენი.
[141] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 26 ივნისის №1/3114-23 განაჩენი.
[142] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 11 ივლისის №1/2476-22 განაჩენი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 14 სექტემბრის განაჩენით, ლ. ფ. გასამართლდა თაღლითობისა და 24 180 აშშ დოლარის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის. დამატებით სასჯელად ქონების ჩამორთმევა არ გამოყენებულა.[143]

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 27 სექტემბრის განაჩენით, ა. ხ. და ფ. ს. გასამართლდნენ თაღლითობისა და 306 314 ლარის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის. დამატებით სასჯელად ჩამოერთვათ 5 080 ევრო და 68 195 აშშ დოლარი.[144]

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 06 ოქტომბრის განაჩენით, ე. ჯ. და ეკ. ჯ. გასამართლდნენ თაღლითობისა და 1 898 880 ლარის, 39 550 ევროს და 9 000 აშშ დოლარის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის. დამატებით სასჯელად ჩამოერთვათ ფულადი თანხები და სხვადასხვა ღირებულების უძრავ-მოძრავი ქონება.[145]

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 04 დეკემბრის განაჩენით, ალ. ბ. გასამართლდა 102 000 აშშ დოლარის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის. დამატებით სასჯელად ჩამოერთვა დანაშაულებრივი გზით შეძენილი სხვადასხვა ღირებულების სამი უძრავი ქონება.[146]

სასამართლო პრაქტიკა აჩვენებს, რომ ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულთან მიმართებით, ამ ტიპის დანაშაულის გლობალური მასშტაბების მხედველობაში მიღებით, სამართალდამცავი უწყებების საქმიანობა გასააქტიურებელია.

11. დასკვნა

კვლევა ცხადყოფს, რომ ორგანიზებული დანაშაული, თანამედროვე პერიოდში, არის ტრანსნაციონალური გამოწვევა და გლობალური საფრთხე.

ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაული გადაიქცა ერთგვარ კრიმინალურ ინდუსტრიად.

ყოველწლიურად ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების ხელში მეტი ფინანსური რესურსი ექცევა, რაც ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას ეფექტურობას უკარგავს.

თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებები, ბიზნესის გაციფრულება, ვირტუალური ფულის (აქტივის) მზარდი გამოყენება, უკანონო (დანაშაულებრივ) შემოსავალს წამიერად უცვლის, როგორც სახესა და ფორმას, ისე გეოგრაფიულ მდებარეობას, რასაც უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) ახალი მეთოდებიც უწყობს ხელს.

არალეგალური შემოსავლების შემოჭრას ლეგალურ ეკონომიკაში ნებისმიერი, თუნდაც წარმატებული სახელმწიფოს ეკონომიკისთვისაც კი შესაძლოა დამანგრეველი ხასიათი ჰქონდეს.

კვლევა ცხადყოფს, რომ ორგანიზებული დანაშაული, თავისი ტრანსნაციონალური ხასიათით, დანაშაულის თანამედროვე ფორმების მუდმივი ცვალებადობით, თანამედროვე ტექნოლოგიების მზარდი გამოყენებით, სულ უფრო შეფარული ხდება საზოგადოებისათვის.

ყოველწლიურად დაგროვილი მილიარდობით არალეგალური შემოსავალი იმგვარად ერევა ლეგალურ ეკონომიკას, რომ დროთა განმავლობაში, არალეგალური შემოსავლის გარჩევა ლეგალურისაგან შეუძლებელი ხდება.

---

[143] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 14 სექტემბრის №1/3555-22 განაჩენი.
[144] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 27 სექტემბრის №1/2860-23 განაჩენი.
[145] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 06 ოქტომბრის №1/3091-22 განაჩენი.
[146] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 04 დეკემბრის №1/2716-23 განაჩენი.

აღნიშნული მიანიშნებს იმაზე, რომ როგორც ჩანს, სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან, ტრადიციულად, ჯერ კიდევ მეტი ყურადღება ეთმობა დამნაშავის გასამართლებას, ვიდრე ამ დანაშაულისაგან მიღებული შემოსავლისა და ქონების მოძიებას, დაბრუნებასა და კონფისკაციას.[147]

კვლევა ასევე ცხადყოფს, რომ როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივ დონეზე, საკმარისი ეფექტური სამართლებრივი ინსტრუმენტები არსებობს.

„რა თქმა უნდა დანაშაულს სრულად ვერ აღმოვფხვრით, რადგან ეს ადამიანის ბენებრივი მდგომარეობის შემადგენელი ნაწილია. მაგრამ ჩვენ შეგვიძლია დანაშაულის ოდენობის და მისი უარყოფითი შედეგების შემცირება."[148]

ამდენად, საჭიროა სამართალდამცავი ორგანოების, მათ შორის უცხოელი კოლეგა უწყებებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ერთობლივი მიზანმიმართული მოქმედება და ტრანსნაციონალური ორგანიზებული საქმიანობიდან დაგროვილი დანაშაულებრივი ქონების ჩამოსართმევად ყველა შესაძლო ლეგალური მექანიზმის გააქტიურება.

ბიბლიოგრაფია:

1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 24/08/1999.
2. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ", 15/11/2000.
3. ევროპის საბჭოს კონვენცია „დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღების და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ", 16/05/2005.
4. კონვენცია „ფულის გათეთრების, დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მოპოვებული შემოსავლების მოძიების, ამოღების და კონფისკაციის შესახებ", 8/11/1990.
5. კონვენცია „მექრთამეობის წინააღმდეგ უცხოელ საჯარო მოხელეთა მხრიდან საერთაშორისო ბიზნეს ტრანზაქციებისას", 21/11/1997.
6. კონვენცია „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ", 11/11/1997.
7. მუმლაძე დ., ძნელაძე ლ., ბრძოლა ორგანიზებული დანაშაულობის (მაფიის) წინააღმდეგ: შედარებითსამართლებრივი ანალიზი, ჟურნ. „მართლმსაჯულება", №2, 2008, 35.
8. ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის 2021-2024 წწ. ეროვნული სტრატეგია <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5256554?publication=0> [03.06.2025].
9. ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ საქართველოს კანონის მე-12 მუხლი <https://matsne.gov.ge/document/view/2764463?publication=14> [03.06.2025].
10. 2005 წლის 20 დეკემბრის საქართველოს კანონი ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ <https://matsne.gov.ge/document/view/27814?publication=1> [03.06.2025].
11. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ <https://matsne.gov.ge/document/view/1485286?publication=0> [03.06.2025].
12. საქართველოს პროკურატურის 2022-2027 წწ. სტრატეგია <https://pog.gov.ge/uploads/7f5da215-saqarTvelos-prokuraturis-2022-2027-wlebisstrategia.pdf> [03.06.2025].
13. *ალექსიძე ლ.,* თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბ. 2001, 228.
14. *ავანესოვი გ.ა. (რედ.),* კრიმინოლოგია, თბ., 2007, 570.
15. *ბიორგო ტ.,* დანაშაულის პრევენცია, თბ. 2016, 24.

[147] *ძნელაძე ლ.,* კონფისკაცია, როგორც ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის აუცილებელი სისხლისსამართლებრივი მექანიზმი, ჟურნ. „სამართლის ჟურნალი", №2, 2024, 237.

[148] *ბიორგო ტ.,* დანაშაულის პრევენცია, თბ., 2016, 24.

16. *გოძიაშვილი ი.,* კრიმინოლოგია, თბ., 1998, 179.
17. *გამყრელიძე ო.,* სისხლისსამართლებრივი უმართლობის პრობლემა და თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძვლები, თბ., 1989.
18. *დგებუაძე გ.,* დანაშაულის ინდივიდუალური შერაცხვის დოქტრინა და პრეცედენტული სამართალი საერთაშორისო სისხლის სამართალში, თბ. 2021, 115-116.
19. *ვესელსი ი., ბოილკე ვ.,* სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ. 2010, 290-291, 299.
20. *თუმანიშვილი გ., (სამეც. რედ), ჯიშკარიანი ბ., (სამეც. რედ), შრამი ე., (სამეც. რედ.),* ევროპული და საერთაშორისო სამართლის ზეგავლენა ქართულ სისხლის საპროცესო სამართალზე, თბ., 2019, 800-801.
21. *კეკოშვილი ვ.,* კანონიერი ქურდების სუბკულტურის გავლენა მოზარდების სოციალიზაციაზე პოსტ-საბჭოთა საქართველოში (სადისერტ. ნაშრომი), თბ. 2019, 29.
22. *ლობჟანიძე გ., ღლონტი გ.,* კანონიერი ქურდები საქართველოში: ისტორია და რეალობა (მონოგრ.), თბ. 2004, 46, 55.
23. *ნაჭყებია გ.,* სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2007, 189.
24. ნაჭყებია გ. (რედ.), ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, თბ., 2012, 22, 528.
25. *სურგულაძე ლ.,* სისხლის სამართალი, თბ. 1997, 354.
26. *ტურავა მ.,* სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა (მერვე გამოცემა), თბ., 2010, 272, 275-276, 279.
27. *ტყეშელიაძე გ. (რედ.),* სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2004, 55, 195, 220.
28. *ტყეშელიაძე გ.,* პასუხისმგებლობა დანაშაულთა ერთობლიობისათვის, თბ., 1985, 32.
29. *უგრეხელიძე მ.,* ბრალი საფრთხის დელიქტებში, თბ., 1982, 60.
30. *შალიკაშვილი მ.,* კრიმინოლოგია, თბ., 2011, 84.
31. *ძნელაძე ლ.,* კონფისკაცია, როგორც ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის აუცილებელი სისხლისსამართლებრივი მექანიზმი, ჟურნ. „სამართლის ჟურნალი“, №2, 2024, 236-237, 242.
32. *წულაია ზ.,* კრიმინოლოგია (ზოგადი ნაწილი), თბ., 2003, 224.
33. *წერეთელი თ.,* თანამონაწილეობა დანაშაულში, თბ., 1965, 7-8.
34. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 04 დეკემბრის №1/2716-23 განაჩენი.
35. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 22 ნოემბრის №1/2046-23 განაჩენი.
36. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 20 ნოემბრის №1/2540-23 განაჩენი.
37. თელავის რაიონული სასამართლოს 2023 წლის 14 ნოემბრის №1/164-23 განაჩენი.
38. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 10 ნოემბრის №1/5861-23 განაჩენი.
39. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 19 ოქტომბრის №1/4242-23 განაჩენი.
40. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 17 ოქტომბრის №1/4731-23 განაჩენი.
41. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 06 ოქტომბრის №1/3091-22 განაჩენი.
42. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 27 სექტემბრის №1/2860-23 განაჩენი.
43. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 14 სექტემბრის №1/3555-22 განაჩენი.
44. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 25 ივლისის №1/7178-22 განაჩენი.
45. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 11 ივლისის №1/2476-22 განაჩენი.
46. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 26 ივნისის №1/3114-23 განაჩენი.
47. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 21 ივნისის №1/6282-22 განაჩენი.
48. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 12 ივნისის №1/1579-23 განაჩენი.
49. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 02 მაისის №1/4977-22 განაჩენი.
50. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 05 აპრილის №1/4583-22 განაჩენი.
51. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 30 მარტის №1/7177-22 განაჩენი.
52. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 16 მარტის №1ბ/2124-22 განაჩენი.

53. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 16 თებერვლის №1/3444-22 განაჩენი.
54. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 14 მარტის №1/4582-22 განაჩენი.
55. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 14 მარტის №1/4212-22 განაჩენი.
56. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 13 თებერვლის №1/3423-22 განაჩენი.
57. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 16 იანვრის №1/2777-22 განაჩენი.
58. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 06 იანვრის №1/2742-22 განაჩენი.
59. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 26 დეკემბრის №1/2641-22 განაჩენი.
60. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 16 დეკემბრის №1/6471-22 განაჩენი.
61. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 12 ოქტომბრის №1/3450-22 განაჩენი.
62. ახალციხის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 20 სექტემბრის №1/107-22 განაჩენი.
63. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 16 სექტემბრის №1/374-22 განაჩენი.
64. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 13 სექტემბრის №1/968-22 განაჩენი.
65. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 13 სექტემბრის №1/5937-19 განაჩენი.
66. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 08 სექტემბრის №1/3065-20 განაჩენი.
67. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 20 ივლისის №1/1832-22 განაჩენი.
68. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 16 ივნისის №1/385-22 განაჩენი.
69. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 13 ივნისის №1/4642-21 განაჩენი.
70. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 31 მაისის №1/1434-22 განაჩენი.
71. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 23 მაისის №1/2638-22 განაჩენი.
72. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 04 მაისის №1/292-22 განაჩენი.
73. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 20 აპრილის №1/1947-22 განაჩენი.
74. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 15 აპრილის №1/3333-21 განაჩენი.
75. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 12 აპრილის №1/2181-21 განაჩენი.
76. ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 06 აპრილის №1/237-21 განაჩენი.
77. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 05 აპრილის №1-514-21 განაჩენი.
78. ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 05 აპრილის №1/226-21 განაჩენი.
79. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 01 აპრილის №1/4408-21 განაჩენი.
80. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 25 მარტის №1/3845-21 განაჩენი.
81. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 17 მარტის №1/1349-21 განაჩენი.
82. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 16 მარტის №1/4855-19 განაჩენი.
83. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 15 მარტის №1/947-22 განაჩენი.
84. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 14 თებერვლის №1/3270-21 განაჩენი.
85. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 27 დეკემბრის №1/5491-21 განაჩენი.
86. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 10 დეკემბრის №1-334-21 განაჩენი.
87. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 29 ოქტომბრის №1/3934-21 განაჩენი.
88. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 23 სექტემბრის №1/468-21 განაჩენი.
89. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 11 ოქტომბრის №1/4280-21 განაჩენი.
90. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 27 ივლისის №1/3434-21 განაჩენი.
91. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 11 მაისის №1/4697-20 განაჩენი.
92. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 23 აპრილის №1/996-21 განაჩენი.
93. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 07 აპრილის №1/664-20 განაჩენი.
94. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 17 მარტის №1/3252-20 განაჩენი.
95. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 05 მარტის №1/465-20 განაჩენი.
96. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 18 თებერვლის №1/3309-22 განაჩენი.
97. *Bassiouni M.*, Effective National and International Action against Organized Crime and Terrorist Criminal Activities, 4 Emory INT`l L. REV. 12, 1990.

98. *Borgstede G.*, Cultural Property, the Palermo Convention and Transnational Organized Crime, 21 IJCP, 2014, 283.
99. *Brazier, M. L.*, The European Unions`s Hot Pursuit of Organized Crime Groups, 7 New Eng. Int'l & Comp. L. Ann., 2001, 262, 263, 264-265.
100. *Clark R. S.*, The United Nations Convention Against Transnational Organized Crime, 50 wayne L. Rev., 2004, 167.
101. *Ciklauri-Lammich E.*, Menschenraub, ein blühendes Gewerbe in der Kaukasusregion, Monatshefte für Osteuropäisches Recht, Hrsg. Dr. Günter Tontsch, Hamburg 2000, 2-9.
102. *Ciklauri-Lammich Eliko*, The Problem of Crime Between Late Migrants From ISC in Germany, Georgian Lawyers, Tiflis 2001, 45-51.
103. *Ciklauri-Lammich Eliko*, Kapitel 2 Abschnitt 2. Der Kampf gegen die Korruption in den europäischen Ländern in der Monographie: Die Korruption in Georgien: Kriminologische Analysen und Kommentare der gerichtlichen Praxis , Hrsg. TSU & Tsereteli Inst., Tiflis 2010, 50-76.
104. *Ciopec, F.*, Compatibility of Romanian Legislation with the UN Convention Against Transnational Organized Crime, 39 Zbornik Radova, 2005, 213.
105. "crime industry", *Ciklauri-Lammich Eliko* und *Paoli Letizia*, Bekämpfung des ungesetzlichen Umsatzes und Konsums von Drogen auf dem Gebiet der russischen Föderation, in Prawo i Politika, St. Petersburg 2002, 29-34.
106. *Dugato M., Favarin S., Giommoni L.*, Risks and Rewards of Organized Crime Investments in Real Estate, 55 BRIT. J.Criminology, 2015, 944.
107. *Guymon C.*, International Legal Mechanisms for Combating Transnational Organized Crime: The Need for a Multilateral Convention, Berkley J. Int'l, 2000, 61-62, 65, 73.
108. *Hauck P., Peterke S.*, Organized Crime and Gang Violence in National and International Law, 92 INT`l REV. RED. Cross, 2010, 408.
109. Internazionale Organisierte Kriminalitat (Hrsg. *Prof. Dr. Ulrich Sieber*), Carl Heymanss Verlag KG, Koln. Berlin. Bonn. Munchen, 1996, 6-8.
110. *Orlovska N., Stepanova J.*, Confiscation of Proceeds and Property Related to Crimes: International Standards and the ECHR Practice, 10 Juridical Trib., 499-500, 2020.
111. *Shelley L.*, Transnational Organized Crime and Seized Assets: Moral Dilemmas Concerning the Disposition of the Fruits of Crime, 7 Maastricht J. Eur. & Comp., 2000, 35, 38.
112. *Zagaris B.*, U.S. International Cooperation Against Transnational Organized Crime, 44 Wayne L. Rev., 1998, 1402.
113. The EU Strategy to Tackle Organised Crime 2021-2025 <https://eurlex.europa.eu/legalcontent/EN/TXT/?uri=CELEX%3A52021DC0170&qid=1632306192409> [03.06.2025].
114. Directive (EU) 2024/1260 of the European Parliament and of the Council on Asset Recovery and Confiscation <https://eur-lex.europa.eu/eli/dir/2024/1260/oj> [03.06.2025].
115. UNODC, Organized Crime Strategy Toolkit for Developing High-Impact Strategies <https://sherloc.unodc.org/cld/uploads/pdf/Strategies/OC_Strategy_Toolkit_Ebook.pdf> [03.06.2025].
116. Global Financial Integrity About Transnational Organized Crime <https://gfintegrity.org/issue/transnational-crime> [03.06.2025].
117. White Paper on Transnational Organized Crime, 2015, <https://edoc.coe.int/en/organised-crime/6837-white-paper-on-transnational-organised-crime.html> [03.06.2025].
118. EU SOCTA 2021 – Serious and Organized Crime Assessment Report <https://www.europol.europa.eu/cms/sites/default/files/documents/socta2021_1.pdf> [03.06.2025].
119. UNODC About Transnational Organized Crime <https://www.unodc.org/toc/en/crimes/organized-crime.html> [03.06.2025].

120. Maping the Risk of Serious and Organized Crime Infiltrating Legitimate Businesses, <https://op.europa.eu/en/publication-detail/-/publication/ab3534a2-87a0-11eb-ac4c-01aa75ed71a1/language-en> [03.06.2025].
121. Global Organized Crime Index 2023 <https://globalinitiative.net/wp-content/uploads/2023/09/Global-organized-crime-index-2023-web-compressed-compressed.pdf> [03.06.2025].
122. UNODC, – Organized Crime Strategy Toolkit for Developing High-Impact Strategies <https://sherloc.unodc.org/cld/uploads/pdf/Strategies/OC_Strategy_Toolkit_Ebook.pdf> [03.06.2025].
123. Interpol <https://www.interpol.int/en/Who-we-are/What-is-INTERPOL> [03.06.2025].